ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №57 (1567) ორშაბათი, 16 ივნისი, 1997 წელი

# ქართული არმია 5 წელია ვერ შევქმენით, სამაგიეროდ ხელოვნურად ვქმნით უსახლკაროთა არმიას...



ამას წინათ პარიზიდან დაბრუნებულმა ჟანრი კაშიამ მითხრა: „თქვენ გააზრებულიც არა გაქვთ, თუ რამხელა ჰუმანური ნაბიჯი გადადგა ეროვნულმა ხელისუფლებამ, როდესაც საცხოვრებელი ბინები, თითქმის უსასყიდლოდ გადმოგცათ საკუთრებაში. მხოლოდ პარიზში უსახლკაროთა და კლოშართა ასიათასიანი არმიაა, რომელიც დიდ პრობლემებს უქმნის საფრანგეთის ხელისუფლებას".

ასიათასისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი მასშტაბებისთვის საკმაოდ დიდი არმია შეიძლება უახლოეს დროში შეიქმნას და კარვებიც დასცეს თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე. თბილისის ძველი რაიონების მოსახლეობის 60% კერძო სახლებში, მუდმივი მობინადრეების უფლებითაა ჩაწერილი, მაგრამ საკუთრების უფლება მათ არა აქვთ. 1993 წლის საბინაო კოდექსის 199 მუხლით მათთვის, ვინც 15 წლის განმავლობაში ღიად ფლობდა უძრავ ქონებას და არ იყო ქონების მესაკუთრე, მიეცა საკუთრების უფლება. პრობლემა თითქოს მოიხსნა, მაგრამ 1997 წლის 15 აპრილს პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტმა დაამატა საბინაო კოდექსს 154-ე მუხლი, რომელშიც რეგულირდებოდა საცხოვრებელი სადგომის გაქირავების წესი. ამან მესაკუთრეებს იმედი მისცა, რომ ათწლეულობით მათთან ჩაწერილ მობინადრეებს გარეთ გაყრიდნენ და დაიწყო კონფლიქტები, ზოგიერთ რაიონში ისარგებლეს არაკეთილსინდისიერმა ადგილობრივი მმართველობის მოხელეებმა და მოსამართლეებმა. მათ თავისი არაკომპეტენტური მიდგომით, რომელშიც პირადი გამორჩენის სურვილი საკითხის სწორად გარკვევას ფარავდა, დაიწყეს ე.წ. მდგმურების დევნა-შევიწროვება. მეორე მხარის რეაქცია სასოწარკვეთილი, გაძარცული კაცის ნაბიჯი იყო. მათ აქცია მოაწყეს პარლამენტის შესასვლელთან, გაუგზავნეს პრეზიდენტს და პარლამენტს განცხადებები, სადაც ვკითხულობთ:

„...ჩვენი უფლებები არავის არ აინტერესებს და ჩვენ სრულიად დაუცველნი ვართ. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ მოსამართლეები იღებენ ქრთამს და აკმაყოფილებენ სახლის მეპატრონეების უსაფუძვლო მოთხოვნებს. ასეთ მოსამართლეთა რიცხვს მიეკუთვნებიან, მაგალითად, სერგო ლომსაძე მთაწმინდის რაიონში და მამუკა ჭოხონელიძე ჩუღურეთში, თუმცა არც სხვა რაიონებშია უკეთესი მდგომარეობა. მოსამართლეები იღებენ ფიქტიურ საბუთებს, იგნორირებას უკეთებენ ჩვენს სასარგებლოდ ჩვენების მიმ-

2



# „გმირულად" დაეცა ზუგდიდში...

3

## „თერგდალეულები" ორად გაჭრეს და სახელოსნოს გზას გაუყენეს!..

ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში, თამარის ციხესთან 1983 წელს „ტრაქტატობის" დროს დადგმული „თერგდალეულთა" სკულპტურული კომპლექსი 1992 წლის ქარიშხალმა წააქცია, რითაც გამვლელ-გამომვლელებმა ფრიად გაიხარეს და საზოგადოებრივი საპირფარეშოს ფუნქცია დააკისრეს ერის მამებს. რაიონის გამგეობა კარგა ხნის შემდეგლა „მოეგო გონს" და შუაზე გაჭრის შემდეგ ბრინჯაოს „თერგდალეულები" (რატომღაც სამ-ოთხად გაყოფილნი) სახელოსნოს გზას გაუყენეს. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სოკოებივით მომრავლებული პოლიციის „ტეკების" გადამკიდე მგზავრები არა სამხედრო გზით, არამედ ცხინვალის გზით ამჯობინებენ სიარულს.

ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხების შესახებ წერილი იხილეთ გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

### • კრიმინალი

## ცოლი სიკვდილამდე სცემა

ისნის რაიონის პოლიციის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ვარკეთილში მცხოვრები 34 წლის ემზარ წკრიალაშვილი, რომელიც ეჭვმიტანილია იმაში, რომ ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საკუთარ მეუღლეს - 33 წლის ნინო ბახტაძეს. ბახტაძე საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. როგორც საქართველოს შსს პრეს-სამსახური იტყობინება, გამოძიებას ატარებს საქართველოს პროკურატურა.

## თბილისში ურთიერთობებს ყუმბარის მეშვეობით არკვევენ

ხუდადოვის ქუჩაზე მცხოვრები გალინა სერგეევას ბინაში, ყოფითი კონფლიქტის ნიადაგზე, მერაბ სარდლიშვილმა ყუმბარა ააფეთქა. აფეთქების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა მერაბ ბეგაშვილი. თავად სარდლიშვილი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. როგორც საქართველოს შსს პრეს-ცენტრი იტყობინება, საქმეს პროკურატურა იძიებს.

## უშიშროების საბჭოს სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა

პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, 14 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის უსაფრთხოების საკითხებზე გამართული ორმხრივი კონსულტაციების შედეგების თაობაზე. გაიმართა მსჯელობა საქართველოში იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების აღრიცხვის, რეგულირებისა და კონტროლის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

სპეციალურად იმსჯელეს საქართველოს მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების მიერ საწარმოებსა და დაწესებულებებში შემოწმების ჩატარების წესის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, აგრეთვე მხარეებში ჩატარებულ რეგიონალურ თათბირებზე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ხშირი და ხანგრძლივი შემოწმებების შესახებ, რაც ხშირად კორუფციის წყარო ხდება. გადაწყდა - უახლოეს მომავალში ჩატარდება სპეციალური თათბირ-სემინარი, როგორც მაკონტროლებელი ორგანოების, ასევე ბიზნესმენთა, მეწარმეთა, ყველა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც შემუშავდა საგანგებო რეკომენდაციები კონტროლის სისტემის რეფორმის თაობაზე.

სხდომის მონაწილეებმა ასევე განიხილეს საკითხი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტური ასიგნებების ოპტიმალური გამოყენებისა და ადგილობრივი საწარმოების მაქსიმალურად ამოქმედების ხელშემწყობ ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. (იფრინდა)

## გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ

## კაკუბავას მიტინგი „ივერიის“ ჰოლში



ისინი, ვისაც ჰგონია, რომ აფხაზეთის პრობლემას შეარდნაძე გადაწყვეტს, ძალიან ცდება, – განაცხადა გუშინ სასტუმრო „ივერიის“ ჰოლში გამართულ მიტინგზე ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრმა ბორის კაკუბავამ. მისი განცხადებით, ერთ ადამიანს შეუძლია ქვეყანა დაანგრიოს, მაგრამ მისი აღდგენა მხოლოდ ერთობლივი ძალებით არის შესაძლებელი. კაკუბავამ დევნილებს გაერთიანებისაკენ მოუწოდა. შეკრებილთაგან ბევრმა უგულვებელყო დეპუტატის მოწოდება. მათი თქმით, შეკრებებითა და მიტინგებით აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყდება. (მექსპრესი)

## ევროპელებს მოეწონათ კანონი საქართველოს პროკურატურის შესახებ

კანონპროექტი საქართველოს პროკურატურის შესახებ, რომელსაც ჩვენ გავეცანით, სავსებით პასუხობს ევროპულ ნორმებს, – განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ევროკავშირის ექსპერტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ნატალი ვარჟენიაკმა. მისი თქმით, ამ კანონის მიღება აუცილებელია საქართველოს ევროკავშირში შესასვლელად. თბილისში გამართული ორდღიანი სემინარის მსვლელობისას ქართველ კოლეგებს გავაცანით ჩვენი გამოცდილება, – აღნიშნა ვარჟენიაკმა. (მექსპრესი)

## მოვალეებმა საქართველოს წახრჩობა უკვე დაიწყეს...

არსებობს იმის საშიშროება, რომ 1998 წლის ბიუჯეტში შემცირდება თანხები ჯანდაცვისა და განათლების სფეროების ფინანსირებისათვის, – განაცხადა გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარის“ სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მირიან მურჯიკნელმა. მისი თქმით, ამის მიზეზი ის არის, რომ თურქმენეთი საქართველოსგან 102 მილიონი დოლარი ვალის გადახდას მოითხოვს. „ეს თანხა, გარდა ძველი დიდი ვალისა, საქართველოს ბოლო დროს დაუგროვდა გადასახდელი“, – აღნიშნა მურჯიკნელმა. „ფინანსთა სამინისტროში ამ საკითხების გადაჭრაზე მუშაობენ, მაგრამ სხვა ვალებთან ერთად, საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც უნდა დაუფაროს ვალი 30 მილიონი დოლარის ოდენობით“,– აღნიშნა მურჯიკნელმა.

# ქართული არმია 5 წელია ვერ შევქმენით, სამაგიეროდ ხელოვნურად ვქმნით უსახლკაროთა არმიას...

პირველი გვერდიდან

ცემ მოწმეებს და არ გვაძლევენ აზრის გამოთქმის საშუალებას. მოსამართლეები უგულვებელყოფენ საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 27 ივნისს მიღებულ №564 სტატიას, რომელიც ჩვენს უფლებებს იცავს“.

აქციის მონაწილეთა დიალოგი პარლამენტის დეპუტატებთან არ შედგა, რადგან გაწვალებული ხალხი აღარც არგუმენტებს უსმენდა და აღარც ლოგიკას. მათ რედაქციაში მოგვაკითხეს და თავისუფლების მოედანზე კარვის დაცემით დაგვემუქრნენ. მეორე დღეს კი მეპატრონეები დაგვეცენ თავზე ერთი რუსი ეროვნების ქალბატონის მეთაურობით, რომელიც ინტერნაციონალიზმის მოტივით ისე ბობოქრობდა, ლამის რომანოვების დინასტიის ბორჯომის მამულში დაბრუნება მოგვეთხოვა. აი, ამ რუს ქალბატონს სურს არც მეტი, არც ნაკლები, ბატონი ქართლოს კასრაძის გამოსახლება „თავისი სახლიდან“. თურმე ბატონი ქართლოსის მამის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, დავით კასრაძისათვის, კომუნისტურ ხელისუფლებას ამ ქალბატონის სახლში ბინა გამოუყვია. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა, კასრაძეების მესამე თაობა იბადება, იზრდება და საქართველოსათვის სასარგებლო მოღვაწეობას ეწევა ამ სახლში. კომუნისტების ხელისუფლებაზე რომ არ ვილაპარაკოთ, არც ახლანდელ ხელისუფლებას გამოუდევია დიდად თავი ღირსეული მწერლის შვილს, თვითონ მწერალს, ქართლოს კასრაძეს, ცხოვრებისეული პრობლემები მოეგვარებინა.



საკითხის ორმხრივად გამწვავების შემდეგ პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტს მივმართეთ, სადაც ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით პარლამენტზე გამოაქვთ და მტკიცდება ახალი სამოქალაქო კოდექსი. ნინო ბურჯანაძემ იცოდა ეს პრობლემა, ამიტომ პირდაპირ მისი დარეგულირების მექანიზმებს შევეხეთ:

– პრობლემა ძალიან რთულია, მაგრამ მე არაერთხელ გავაკეთე პარლამენტის სხდომაზე განცხადება, ტელევიზიით და რადიოთიც გამოვედი. განმარტება ასეთია: ყველა ადამიანს, რომელსაც პრეტენზია აქვს, ან ფიქრობს, რომ 154-ე მუხლი მას შეეხო, მათ ეს მუხლი არ ეხება. ის ეხება წმინდა სახის ქირავნობის ხელშეკრულებას, ელემენტარული ქირავნობა რასაც ჰქვია. მაგალითად, თქვენ ზაფხულში აგარაკი დაიქირავეთ, ან სტუდენტმა რამდენიმე წლით იქირავა თბილისში ბინა, ან თუნდაც გაზრდილმა ოჯახმა და ასე შემდეგ.

*– აბა რატომ იხილავენ მას მოსამართლეები?*

– ძირითადი ტკივილი და აქცენტი მოდის სწორედ იმ მოქალაქეებიდან, რომელთაც ბინის პრობლემა დაუდგათ იმასთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ბინაში ცხოვრობენ ე.წ. „ატსცუპნოს“ საფუძველზე. ან ეს ეხება ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენთან საკონსულტაციოდ მოდიან და აქციაშიც მონაწილეობენ და ზოგიერთი მათგანი მართლაც გამოსახლების პირასაა, ეს არის ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე, გასაბჭოების დროს შეასახლეს მესაკუთრის ბინაში და პრაქტიკულად უუფლებონი არიან დღეს, რადგან აღიარებულია საკუთრების უზენაესობა. მე ყველას შეძლებისდაგვარად ვაძლევ განმარტებას, რომ ეს მუხლი მათ უფლებებს არანაირად არ ხელყოფს, ვინაიდან ეს არის წმინდა სახის ქირავნობის ხელშეკრულება. რაც შეეხება ამ ორი კატეგორიის მოქალაქეებს, რომლებიც საკმაო რაოდენობით არიან საქართველოში და ჩვენ მათთან დაკავშირებით მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში ვართ, ჩვენს კომიტეტში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც კანონპროექტის ახალ ვარიანტს ამუშავებს და დაარეგულირებს ამ საკითხებს. ჩვენ ასევე თხოვნით მივმართეთ სასამართლოებს და დროებით აღსრულება არ ხდება იმ გადაწყვეტილებებისა, რომელიც ამ ტიპის საქმეებს ეხება, რადგან დღეს საკანონმდებლო ბაზა არაა.

*– მაგრამ სასამართლოებს მაინც გამოაქვთ გადაწყვეტილება და აშინებენ ამ ხალხს. სადაა გამოსავალი?*

– პრაქტიკულად სამართალმა რომ ორივე მომჩივანი მხარე დააკმაყოფილოს, ძნელია. ამ შემთხვევაშიც პრაქტიკულად შეუძლებელია შუალედური ვარიანტის გამონახვა, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილდეს. ჩვენ ვცდილობთ რაღაც კომპრომისული ვარიანტი მოვძებნოთ. ვთქვათ, ავტომატურად არ დავუსაკუთროთ ამ პირებს ბინა და მესაკუთრის უფლება არ შევუზღუდოთ, მაგრამ ვცდილობთ დავაკანონოთ, რომ მათ შესაბამისი კომპენსაცია მივცეთ. რამდენადაც მტკივნეული არ უნდა იყოს მესაკუთრისათვის, რომელსაც გასაბჭოების დროს შეუსახლეს უცხო ოჯახები, საკუთარი ბინის ხელახლა გამოსყიდვა, ჩვენ ეს ეტაპი რაღაცნაირად უნდა გავიაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მივიდეთ იქამდე, რომ ხალხი ქუჩაში გამოვყაროთ, რომლებსაც არაფერი არ დაუშავებია. აქ ხომ მეორე-მესამე თაობა ცხოვრობს ასეთ ბინებში. ამ ხალხს ჩვენ ქუჩაში ვერ გამოვყრით. ეს არის აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მესაკუთრის უფლებები არ დავიცვათ.

*– მაგრამ ბევრ მათგანს ფაქტიურად ნაყიდი აქვს ეს ბინები. უბრალოდ იმ დროს ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში რა ქნათ?*

– ამიტომ არსებობს სასამართლო. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი კანონი, რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს, რომ ყველა კონკრეტული შემთხვევა გაითვალისწინოს.

*– დღეს ამ საკითხის განხილვა სასამართლოების მიერ შეიძლება?*

– არა. სამწუხაროდ ეს საკითხი ღიადაა, შესაბამისი საკანონდებლო ბაზის არარსებობის გამო. ვიცით, რომ ზოგჯერ მძიმე კონფლიქტებამდე და გამოსახლებამდე მიდის საქმე. ამიტომ ვეცდებით, რომ საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე პირველი მოსმენით მაინც მივიღოთ ეს კანონი.

*– პირველი მოსმენა კანონს ძალას ხომ არ აძლევს?*

– რა თქმა უნდა, ჩვენ შევეცდებით კანონი სამივე მოსმენით იქნას მიღებული და ვფიქრობ ასეც იქნება, რადგან კანონი არ იქნება დიდი მოცულობის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მტკივნეულ საკითხს მოაწესრიგებს.

*– გმადლობთ.*

– ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ მესაკუთრის კანონის რეალიზება ისეთმა მძლავრმა, ცენტრალური ევროპის სახელმწიფომაც ვერ შეძლო, როგორიც გერმანიაა, სადაც აღმოსავლეთის მიწების შეერთების შემდეგ მწვავედ დადგა ეს საკითხი. როგორ გადაწყვეტს ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ამ დილემას, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ვარდიკო ნადიბაიძეს ხუთი წელია ქართული არმია ვერ შეუქმნია და თუ ჩვენი ხელმრუდი მოსამართლეები უსახლკაროთა ქართულ არმიას რამდენიმე თვეში შექმნიან, აფერუმ მაგათ.

**მანანა იაშვილი**



მალე ლტოლვილებზე უარეს დღეში ვიქნებით

## ყურადღება პრესას

„დემოკრატიული“ უსაფრთხოებისა და კონსოლიდაციის ფარგლებში ევროპის საბჭოს განსაზღვრული აქვს 16-17 ივნისს თბილისში ჩაატაროს სემინარი თემაზე: „საინფორმაციო საშუალებები დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სემინარი მიზნად ისახავს დაინტერესებულ წრეებს მიაწოდოს ინფორმაცია მასმედიის შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-10 სტატიით გათვალისწინებული ევროპული სტანდარტების თაობაზე. (მექსპრესი)

## გურულებს ფული გაუჩნდებათ

საქართველოს მილსადენის კომპანია „ჯი-პი-სი“-მ ოზურგეთის და ლანჩხუთის რაიონის სოფლებში შრომა-ურეკი-სუფსა ნოტარიული წესით საგარანტიო წერილების ხელწერების წინასწარი დამოწმება დაიწყო იმ ოჯახებთან, რომლებიც სუფსის ტერმინალის მშენებლობისათვის მუდმივ საკუთრებაში გადაცემული მიწების კერძო მფლობელები იყვნენ.

მიწის მფლობელები აცხადებენ, რომ საფასურის მიღების შემთხვევაში ამ მიწებზე პრეტენზია აღარ ექნებათ.

„გასაცემი თანხები უკვე გადმორიცხა და მისი გაცემა ოზურგეთის და ლანჩხუთის ბანკებმა, მიწის მართვის საკოორდინაციო ცენტრის მონაწილეობით ოთხშაბათიდან უნდა დაიწყონ“ აცხადებენ კომპანია „ჯი-პი-სი-ს“ წარმომადგენლები. (მექსპრესი)

## „ერთიანი საქართველოს სიმბოლო“

14 ივნისს გაიმართა მოქანდაკე გურამ მათიაშვილის ძეგლის „ერთიანი საქართველოს სიმბოლო“ მაკეტის პრეზენტაცია. ძეგლის იდეის ავტორები არიან ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე და კახა შოშიაშვილი.

ძეგლში ასახულია ციხის გოდოლზე გადაჭრილი მუხა, რომელზე (მუხა–ძლიერი საქართველოს სიმბოლო) ამოსულ ყლორტთანაც (ყლორტი – საქართველოს აღორძინების სიმბოლო) ფიცს დებს ერთიანი, ძლევამოსილი საქართველოს 14 კუთხის შვილი. ყლორტის წვერზე ერთიანი საქართველოს დროშა ფრიალებს, რომელიც საქართველოს სარწმუნოების გამომხატველი ჯვრით სრულდება. გოდოლს ფარისა და მახვილის გამოსახულებიანი ჯაჭვის გალავანი დაამშვენებს.

როგორც ზ.ვაშაყმაძემ აღნიშნა, ამ იდეას 5–6 წლის ისტორია აქვს. მისმა პროექტმა მაშინდელი ხელისუფლების შემოწმება გაიარა. იდეა მოიწონეს საქართველოს არქიტექტორთა კავშირშიც, მაგრამ მისი განხორციელება დღემდე შეჩერებული იყო. იდეის ავტორთა სურვილია, ძეგლი გმირთა მოედანზე დაიდგას.

ძეგლის მშენებლობისათვის ს/ს „საქართველოს ბანკში“ გახსნილია საქართველოს ეროვნული აკადემიის ანგარიში №003700746. (იფრინდა)

## ამერიკის ელჩს მოსწონს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ინიციატივას კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მოწვევის თაობაზე, მიესალმა ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი და მას „ძალზე კონსტრუქციული" უწოდა.

აღნიშნული ასამბლეის მოწვევა ხელს შეუწყობს რეგიონულ თანამშრომლობას და დემოკრატიული რეფორმების განვითარებას. (მექსპრესი)

## ლანჩხუთის რაიონში საბანკო ოპერაციების მოუწესრიგებლობა აფერხებს საკომპენსაციო თანხების გაცემას

საბანკო ოპერაციების მოუწესრიგებლობის გამო ლანჩხუთის რაიონს დღემდე არ მიუღია სუფსის ნავთობის ტერმინალის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახნავ-სათესი მიწების საკომპენსაციო თანხები, რომელიც საქართველოს მილსადენის კომპანიამ 30 მაისს ჩარიცხა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე - განაცხადა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და საქართველოს მილსადენის კომპანიის საკონტაქტო წარმომადგენელმა ლანჩხუთში გია გოგუაძემ. მისივე განმარტებით, თუ 16 ივნისს ლანჩხუთის რაიონი ვერ მიიღებს 521 ათას ლარს, მაშინ საქართველოს მილსადენის კომპანია „ჯი-პი-სი"-ს ვიცე-პრეზიდენტი რობერტ მური ამის შესახებ ოფიციალურად მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს. (მექსპრესი)

## ევროგაერთიანების საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი საქართველოშია

„საქართველოს სურს გახდეს ევროგაერთიანების სრულუფლებიანი წევრი. ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენი ქვეყანა ვალდებულია დაიცვას ჩვენი რეკომენდაციები, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში" - განაცხადა გუშინ საღამოს საქართველოს პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე ევროგაერთიანების საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ევროსაბჭოს იურიდიული დეპარტამენტის პროგრამების მრჩეველმა, ნატალი ვარვეჟინიაკმა.

სტუმრებმა, რომელთა შემადგენლობაში არიან კომპეტენტური ექსპერტები, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კანონპროექტი „პროკურატურის შესახებ" სავსებით შეესაბამება ევროსტანდარტებს და ამ პარამეტრით საქართველოს მიმართ ევროგაერთიანებაში გაწევრიანებისას არანაირი პრეტენზია არ იქნება. დელეგაციის წევრებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ევროპის წამყვან ქვეყნებში პროკურატურა მთლიანობაში გამოძიებას ხელმძღვანელობს და პოლიციის დამხმარე ფუნქციებიც გააჩნია. (მექსპრესი)

# კახა თარგამაძე: ყველა ანგელოზია, ყველამ ცემა-ტყეპის ქვეშ მისცა ჩვენება...

**საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი**

(დასასრული)

**ნ.გ.** - *ვინც საქმეს აკეთებს, ბატონო კახა, ოპონენტიც იმას ჰყავს მეტი, ვიდრე იმ კაცს, არც ცუდს რომ ჩადის და არც კარგს... ოჯახში თუ გყავთ ოპონენტები?*

**კ.თ.** - არა, ოჯახში ნამდვილად არ ვართ პოლიტიკური დებატებით დაკავებული, ან სად არის საამისო დრო, ოჯახში თუ თვალი მომკრეს, ესეც საქმეა. ჩემი დროის უდიდეს ნაწილს სამსახური „ჭამს".

**ნ.გ.** - *გარეთ როგორ ხვდებით ოპონენტებს, განსხვავებული აზრი ზოგიერთ დიდ ჩინოვნიკს პირდაპირ აცოფებს, მით უფრო, თუ ქვეშევრდომთაგან მოდის ასეთი აზრი.*

**კ.თ.** - კოლეგიის წევრები დამეთანხმებიან, ჩვენთან ასე არ არის. თუ ჭკვიანი კაცის გეშინია ან ჭკვიანური აზრი გაღიზიანებს, ეს იმის დასტურია, რომ თავად უჭკუო და უძლური ხარ. ჭკვიან კაცთან კამათი და საქმის შესახებ მსჯელობა ჩემთვის სიამოვნებაც კია, მაგრამ არიან ოპონენტები, რომელნიც ერთადერთ ფორმულას გთავაზობენ - მე არ ვიცი, რა, როგორ გაკეთდეს, მაგრამ არ მომწონს ის, რაც კეთდებაო. დალოცვილო, ერთი ალტერნატიული ანდაზის არ იყოს, შაური რომ დამიწუნო, უზალთუნი მაინც უნდა მიჩვენო. სხვათაშორის, ჟურნალისტებიც ხშირად ჭკუის დარიგებით იწყებენ პოლიციაზე წერას, პროფესიულ დონეზე, კი ბატონო, გვასწავლეთ და გვაკრიტიკეთ, მაგრამ პროფესიულ დონეზე.

თქვენ თქვენი საქმის პროფესიონალები ხართ, მე ჩემი საქმისა. არაპროფესიონალებისგან, ბოდიშით და ჭკუის დარიგებას, ალფრთოვანებით ვერ მივიღებ. მე თქვენი გაზეთის მკითხველი ვარ და რამდენიმე წლის წინ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ერთი ანეკდოტი ძალიან მომეწონა. ახლა ის მინდა გამოვიყენო.

რესტორანში პროფესიონალი მომღერლები სხდნენ. აქეთ შტანგისტები ქეიფობენ.

წამოიწყეს მუსიკოსებმა მშვენიერი სიმღერა, მივიდა მათთან შტანგისტი და აჰყვა, უფრო სწორედ, ჩაშალა სიმღერა.

მოუბრუნდა მუსიკოსი, ეკითხება, თქვენ ვინ ბრძანდებით?

- შტანგისტი - იყო პასუხი.

- მერე რას გვერჩი, აგიწიე ძმაო, შტანგა?

ერთი სიტყვით, პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის საქმეს, ერთმანეთის პროფესიონალიზმს.

**ნ.გ.** - *პატიმრის წამებით ჩვენების მიღება პროფესიონალიზმის ფარგლებში ექცევა თუ არა?*

**კ.თ.** - ვისი წამება?

**ნ.გ.** - *აი, ბატატუნაშვილმა, მაგალითად, წამებით მისცა ჩვენება ელიზბარაშვილზე. ქართლოსი ამტკიცებს, ღარიბაშვილი, დილა-საღამოს გამართულ პრესკონფერენციებზე.*

**კ.თ.** - ბატონო ნოდარ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბატატუნაშვილს რაც შეეხება, ექსპერტების ცნობები არსებობს. შემოწმებული, გადამოწმებული. ამას გარდა კაცურად გეუბნები, ეფიცავარ ადამიანობას, კაცობას, ტყუილია, მოგონილია. არავის თითი არ შეუხია მისთვის და არავითარი ჩვენება ძალით არ ჩამოურთმევიათ. ახლა, საერთოდ, მიბრძანდით საპატიმრო ადგილებში და იკითხეთ, რომელი ხართო დამნაშავე, ყველა ანგელოზია, ყველამ ცემა-ტყეპის ქვეშ მისცა ჩვენება...

ეს გახდა საქართველოში ავადმყოფობა. ახლა ვინც კი არ უნდა მიიყვანო პოლიციაში, ყველა ცემეს, ყველა აწამეს, ახლა ეს თბილისში მოდაში შემოვიდა. იცით, ამას კარნახობენ ამ ხალხს, ასე თქვიო და ატყდება ერთი აურზაური. აი, ასეთ სენსაციებს მოწყურებულს სურს პირდაპირ საშინელი და რაღაც შავი ფორმით დახატოს პოლიცია, აუ, ესენი ვინ ყოფილანო.

პოლიცია არის ჩვენს ქვეყანაში ის ძალა, რომელსაც ხელისუფლება და საზოგადოება უნდა დაეყრდნოს და არ შეიძლება ასეთი შავი ფერებით დავხატოთ ჩვენი პოლიცია.ამით სახელმწიფო ვერაფერს მოიგებს.

**ნ.გ.** - *დიდი მადლობა, ბატონო მინისტრო, ხანგრძლივი დროის დათმობისათვის.*

**კ.თ.** - მეც მადლობას გწირავთ, ბატონო რედაქტორო, ჩვენი საზოგადოებისათვის მრავალი მტკივნეული პრობლემის ვრცლად გაშუქებისთვის. ერთსაც დავსძენ, ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნის პრესა, ტელევიზია ცდილობენ თავიანთ პოლიციაში კარგი, დადებითიც დაინახონ, რამეთუ თავიანთი ქვეყნის სიძლიერე სურთ და ცუდი გულს უტეხთ.

ვისურვებდი, ჩვენთანაც ყველა სახელმწიფოებრივი აზროვნებით მიუდგეს ნებისმიერ საკითხს.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №30-44, 53-56.

*რედაქტორისაგან: ასე დასრულდა ჩემი [illegible] ხანგრძლივი დიალოგი შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბატონ კახა თარგამაძესთან. მკითხველი ათასგვარი კატეგორიისაა, სხვადასხვაგვარი რეაქციითაც შეხვდა საუბრების ამ ციკლს. მე ამ კაცს არ ვიცნობდი, კაცმა რომ თქვას, ახლოს არც ახლა ვიცნობ, მაგრამ შემიძლია ერთი ფრაზით გამოვხატო მისდამი შექმნილი შთაბეჭდილება - კახა თარგამაძე, საქართველოს პოლიციის შეფი, პატიოსანი კაცისათვის საშიში არ არის...*

*სხვათაშორის, მისი პერსონისადმი როგორი შეიძლება იყოს საზოგადოების დამოკიდებულება, ყველაზე უკეთ თავად გამოხატა ერთი ანეკდოტური სიუჟეტით, რომელიც, მისი დიდი თხოვნის მიუხედავად, უნდა გავამჟღავნო, კონკრეტული სიტუაციის მიხედვებით პრეზიდენტს უამბნია.*

*მოლა და მისი შვილიშვილი მიუყვებიან გზას. მოლამ შვილიშვილი ვირზე შესვა, თვითონ ფეხით მისდევს.*

*სოფელში ხალხი იდგა. ნახეს და თქვეს: შეხედეთ ამ ხნის კაცს, ჭკუა არ აქვს თავში, თავად ფეხით მიჰყვება, პატარა კი ვირზე შეუსვამსო.*

*მოლამ ყური მოჰკრა. იფიქრა, მეორე სოფელი გასავლელი მაქვსო. ჩამოსვა შვილიშვილი და ახლა თვითონ ამხედრდა ვირზე.*

*შევიდნენ მეორე სოფელში. შეხედეს და დასცინეს, ამხელა ვირი ვირზე შემჯდარა და პატარა ბავშვს ფეხით ატარებსო.*

*მოლამ იფიქრა, რა გავაკეთო ისეთი, ხალხს რომ თავი მოვაწონოო. ჩამოვიდა ვირიდან, შვილიშვილიც ფეხით გაუყვნა გზას, ხოლო ვირი მოყვება მათ.*

*მესამე სოფელი რომ გაიარეს, ხალხმა ისევ სიცილი ატეხა: შეხეთ, შეხეთ, ეს ორი ვირი ფეხით მოდის და მესამე ვირი უკან მოჰყვებათო...*

*მორალი. ძალიან ძნელია, ყველას რომ მოეწონება, ის გააკეთო, მით უფრო ძალისმიერი სტრუქტურის ხელმძღვანელისათვის, მაგრამ რაც ძნელია, საინტერესოც ის არის.*

# „გმირულად" დაეცა ზუგდიდში...

წინა ღამით გვიან დაძინებულს უგუნებოდ გამომეღვიძა. აუცილებელი საქმე რომ არ მქონოდა, ძილს გავაგრძელებდი, ისე გამიჭირდა ადგომა...

მანქანა ფარეხიდან გამოვიყვანე, წინა საქარე მინა გავწმინდე, ისე, წესისათვის, თორემ კარგა ხნის გაურეცხავ მანქანას მშრალი ტილოთი ტალახს რას მოაშორებ. სალონში ჩავჯექი და თვალი ირგვლივ მიმოვატარე: მტვერი სქელ ფენად დადებოდა ყველაფერს, იატაკზე სიგარეტის ნამწვავებიც კი ეყარა. საათზე დავიხედე და გადავწყვიტე - სამსახურში მისვლამდე მანქანა გამერეცხა.

სამრეცხაოსთან 4-5 მანქანა იდგა გადმოვედი და მრეცხავ ბიჭს დავეკითხე - რამდენი ხანი მომიწევდა ლოდინი. 15-20 წუთიო, მითხრა.

ნოემბრის პირველი რიცხვები იყო, ზამთრის მოახლოება პირველად ვიგრძენი, თავისებური სუსხი შემაწუხებლად მაკრუნჩხებდა ჯერ კიდევ საზაფხულოდ ჩაცმულს. მანქანის კარი გამოვაღე, სალონში ჩავჯექი და წინა დღით ნაყიდ გაზეთებს დავუწყე ფურცვლა. სერიოზული და დიდი წერილის წაკითხვა არც მიფიქრია, ისე გადავავლე თვალი საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციებს. თვალში მომხვდა ახალგაზრდა ლამაზი ბიჭის სურათი, შავ ჩარჩოში ჩასმული, დედა წერდა გარდაცვლილი შვილის წლისთავის გამო, გული შემიწუხდა, ტექსტი მაინც წავიკითხე: შვილო, შენ გმირულად დაეცი 1993 წლის 4 ნოემბერს ზუგდიდში, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში...

* * *

1993 წლის 3 ნოემბრის ღამე. ზუგდიდში, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ქალაქში დაფასებული, ყველასათვის პატივსაცემი კაცის ოჯახში უჩვეულო ფაცი-ფუცი იდგა. სამთავრობო ძალებს, როგორც იქნა, გადაუწყვეტიათ ზუგდიდში შემოსვლა. ქალაქის ახალ გამგებლად ვიღაც ჩარგაზია დაუნიშნავთ და სწორედ ის მოუძღვისო წესრიგის დამცველთ. ხალხში მოარული დაუფარავი შიში: სამართალდამცავები „მხედრიონელები" არიან და ქალაქის პირწმინდად გაძარცვით იმუქრებიანო, ოჯახსაც გადმოდებია და გამოსავლის ძებნაში, ხან რას იტყვიან და ხან კიდევ რას. ოჯახის უფროსი მეუღლეს და შვილებს აფრთხილებს: სამკაულები შეინახეთ, მაგრამ ყველაფერი რომ გადამალოთ, ცემას დაგიწყებენ, შეურაცხყოფას მოგაყენებენ და მაინც გამოგატანიებენო. რისი გამეტებაც შეგიძლიათ, თან იქონიეთო.



თვითონ გარეგნულად არ იმჩნევს, სხვაზე ნაკლებად რომ არ ეშინია იმ ავაზაკების. ათასი აზრი უტრიალებს თავში: ღმერთო, უსისხლოდ და მსხვერპლის გარეშე მოგვშორდებოდნენ და რაც უნდათ ის წაუღიათო, გაიფიქრა და იქვე გაუწყრა საკუთარ თავს. „რა კარგი სათქმელია, რაც უნდათ ის წაუღიათო", მთელი ცხოვრება, მისხალ-მისხალ შეუქმნია ყველაფერი რაც აქვს, ეზო-კარი არ დაეწუნება, შვილები

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• დღიურები

## რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე



### შევარდნაძე ორცეცხლშუაა

28/XII.92 წ. — 10/I–93 წ.

უგემურად შევხვდით ახალ წელს ქართველები.

უიმედობის, მელანქოლიის ტყვე ვარ.

წერა-კითხვის ხალისი არა მაქვს.

ტელე-რადიო საშინლად მალიზიანებს ცეკვა-თამაშის და საახალწლო ღრეჯვა-იუმორის გაზშირებით.

ახალი წლის ღამეს მთელი თბილისი ზანზარებდა, ისეთი ბათქაბუთქი ატყდა.

თოფების, ავტომატების, ტყვიამფრქვევების ხმა ისე არეულიყო ერთმანეთში, გეგონებოდათ, ტყვიის წვიმა მოდის, ესაა ომი დაიწყოო.

რა იყო ეს? პროტესტი ხელისუფლების უნიათობის მიმართ თუ გაფრთხილება?

იქნებ ორივე ერთად?

პარლამენტის „განცხადების“ გამო შევარდნაძე და ჩიკვაიძე ორი კვირაა თავიანთ ინტერვიუებში ბოდიშს უხდიან რუსეთს.

გუშინწინ რუსებმა სოხუმი მეათეჯერ რომ დაბომბეს, შევარდნაძე იძულებული გახდა გაეროსთვის წერილი გაეგზავნა – სამშვიდობო ჯარები შემოიყვანეო, მეორე ხელით კი გოცირიძე (ვიცე-პრემიერი) აფრინა მოსკოვს – სამანეთო ზონაში ვრჩებით, თქვენი ძმა ვართო.

ასეთია შევარდნაძის „პოლიტიკა“. რა ჰქნას. ორცეცხლშუაა.

სამანეთო ზონაში დარჩენა ხომ სნგ-ში შესვლას ნიშნავს.

კიტოვანი აშკარად გადაუდგა შევარდნაძეს.

„იბერია სპექტრში“ ინტერვიუ დაბეჭდა: ჩვენ ძალაუფლება იმიტომ გადავეცით შევარდნაძეს, ჩვენზე გამოცდილი და სახელმწიფოს მართვაში ჩახედული გვეგონა, ეს კი პირიქით იქცევა, ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანაო.

ერთი სიტყვით, მთავრობაში განხეთქილება დაიწყო. შევარდნაძის „მესიობის“ იმედი საპნის ბუშტივით გაქრა. ხალხში უიმედობამ დაისადგურა.

მთავარია, სიმართლეს ამბობდეს მწერლობა – ეს მოუსყიდველი რაზმი, კარიერის კიბეს რომ არ ებღოტიალება და ხელისუფლებისაგან მხოლოდ ერის სწორად გაძღოლას მოითხოვს.

ზუგდიდში ორი კვირაა გრძელდება მჯდომარე აქცია მოთხოვნით – შევარდნაძე გადადგეს! უკვე სტუდენტებიც შეუერთდნენ.

26 ნოემბერს სტუდენტურმა ორგანიზაციებმა შევარდნაძეს გაფრთხილების წერილი მისწერეს: რადიკალურად შეცვალე რუსებისადმი და აფსუებისადმი შენი კომპრომისული პოლიტიკა, თორემ სტუდენტობა ერის მოღალატედ გამოგაცხადებთო.

ტელევიზიით პასუხი გასცა, ზოგი სტუდენტი ინფორმირებული არ არისო.

სოხუმს ყოველდღე ბომბავენ.

იღუპებიან ჩვენი ულამაზესი ბიჭები.

ხსნა არსით არის.

საახალწლო მილოცვაშიც („საქ.რესპუბლიკა“, 1 იანვარი) ეს განწყობილება გამოვხატე.

### კიტოვანს და სიგუას პროტესტის ნიშნად სხდომა დაუტოვებიათ

11/I — 25/I, 93 წ.

გაზეთები წერენ, რომ შარშან, 14 დეკემბერს, შევარდნაძის დავალებით ცქიტიშვილმა გუდაუთაში ხელი მოაწერა შეთანხმებას აფხაზეთიდან ქართველთა ჯარების გამოყვანის შესახებ.

ამ საიდუმლო შეთანხმებამ გაჟონა მაშინ. ნადარეიშვილმა, ნათაძემ, წერეთელმა... განგაში ატეხეს და შევარდნაძემ განაცხადა: „მე არ ვიცოდი, სამხედროები რაღაცაზე შეთანხმებულან, თუ საქართველოს არ უნდა, ნუ შევასრულებთო“.

ახლაც: 6 თუ 7 იანვარს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე უთქვამს: – გამოვიყვანოთ ჩვენი ჯარი აფხაზეთიდან, თორემ რუსი დაგვსჯისო.

არძინბაო? სიგუას უკითხავს. არძინბა პოლიტიკური ფიგურაა და ჯერჯერობით უნდა დარჩესო, უბრძანებია.

კიტოვანს და სიგუას პროტესტის ნიშნად სხდომა დაუტოვებიათ.

მე მითქვამს და თქვენი ნებააო, უთქვამს შევარდნაძეს. ეს ნათაძემ მითხრა.

მერე ირანში წაბრძანდა ჩვენი მეთაური. ირანის შაჰმა პატივით მიიღო, მაგრამ არცერთ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერიათ.

რატომ ენდომება ირანს საქართველოს ეკონომიკური შველა?

მოსკოვიდან ვინმე კოვალიოვის ხელმძღვანელობით დელეგაცია ჩამოვიდა, „დიდი ხელშეკრულების“ III, გადამწყვეტი რაუნდი უნდა შედგესო.

თბილისში ელცინსაც მოელიან.

დავრბივარ აფხაზეთიდან ლტოლვილთა დასაბინავებლად. ჭირს.

23 იანვარს სერგი ჭილაია დავკრძალეთ.

ბევრი ვირბინეთ მე და ფანჯიკიძემ, სახელმწიფოს ხარჯზე დაკრძალვისათვის რომ მიგვეღწია.

„თამაშიდან გასული“ სერგი ალარავის ახსოვდა.

მთავრობა პანაშვიდზეც არ მოვიდა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები ვთქვით: გ.ფანჯიკიძემ, გრ.აბაშიძემ, გ.ციციშვილმა, მე, გ.გვერდწითელმა და დ.მჭედლურმა.

არძინბა თავისიანებმა მოკლესო, გოგელიას ტელევიზიამ გვახარა. მეორე დილით არძინბა „თავისუფლებიდან“ მოგვესალმა.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-56.

# ერთი პროფესორი ორი აკადემიკოსის წინააღმდეგ

## აკადემიკოს გურამ თევზაძის ბიუროკრატიული ფენომენი

მკითხველი საზოგადოებრიობა იცნობს ფილოსოფოს გურამ თევზაძეს. მეც ვიცნობდი და, გითხრათ სიმართლე, მისი საკმაო პატივისცემა მქონდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელად როცა ვიხილე, არ გამკვირვებია, ვიფიქრე, იქნებ გვეშველოს-მეთქი. საბაბიც მქონდა: იგი ხომ ქვეყნის მმართველი პარტიის – მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის სპიკერი გახლდათ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ბატონმა გურამმა ეს დიდი თანამდებობა მეცნიერების სიყვარულით დათმო და აკადემიაში მოგვევლინა, ვითარცა ეროვნული მეცნიერების ორგანიზატორი.

აკადემიკოსი გურამ თევზაძე თავის სამსახურებრივ ამპლუაში პირველად ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ვიხილე, სადაც მან მოხერხებულობის რეკორდი დაამყარა. ბოლო ხუთი თუ შვიდი წლის მანძილზე ამ ინსტიტუტის თანამშრომლებს, როგორც იქნა, საერთო კრება გვეღირსა და აჰა, „დემოკრატიული წესით“ დირექტორის არჩევა შემოგვთავაზეს. მაგრამ ბატონმა გურამმა ეგზალტირებულ ისტორიკოსებს ცივი წყალი გადაგვასხა და ისევ ძველი, ყელში ამოსული დირექტორი შემოგვაჩეჩა.

რა უნდა გვექნა, თავს ზევით ძალა არ არის, ვისაც უფროსად დაგინიშნავენ, ის უნდა აღიარო, მე შენ გეტყვი, იჩივლებ სადმე და პასუხს მიიღებ, პრესაში გამოხვალ და ვინმე გამოგეხმაურება, ჰოდა, ჩვენც თევზებივით პირში წყალი ჩავიგუბეთ და გაეჩერდით, არადა, ახალე კედელს თავი, 70 წლის მანძილზე ისეთი სკოლა გვაქვს გავლილი, ყველაფერს ვიტანთ, ვეგუებით, იქნებ ღირსების გრძნობა ჩვენს შვილიშვილებს მაინც დაუბრუნდეთ. ამასწინათ ბატონ გურამს კაბინეტში ვეახლე, ზრდილობიანად მიმიღო და ძალიან ტკბილად ვიჭუკჭუკეთ, წათამამებულმა ბოლოს მოსვლის მიზანი გავაცანი:

ეკონომიკურად შეჭირვებულ ერს საარსებო საშუალებებზე არანაკლებ ესაჭიროება სულიერი საზრდო, ქართული ცხოვრების წესი და ეროვნული ცნობიერება უმძიმეს დღეშია, ამიტომ, კარგა ხანია მომწიფდა საკითხი, რომ აკადემიამ გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი და დავიწყოთ ღია საუბრები ქართული ცხოვრების წესსა და ეროვნულ ცნობიერებაზე, დევიზით – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით“. ბატონ გურამს თემატიკაც გავაცანი: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, ეროვნული ცნობიერება და ქართული მართლმადიდებლობა, აფსუუროსური პრობლემა და მისი შედეგები (ისტორია და სინამდვილე), აგრარული რეფორმის ქართული გზა და ა.შ.

– აკადემიაში პოლიტიკური პარტიები რომ შემოვიდნენო?! – მაშინვე გამოითქვა საფუძვლიანი შიში.

– მე აქ საშიშროებას ვერ ვხედავ. ანტისამთავრობო მიტინგებს ხომ არ გაემართავთ. პარტიებსაც სჭირდებათ პატრონობა და მართალი სიტყვა. მსურველები ჯანსაღ მეცნიერულ საუბრებს მოისმენენ და წავლენ. ექსტრემიზმს სწორედ ასეთი მალამო სჭირდება...

შევთანხმდით. პირველი შეკრების ვადაც დავთქვით, მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგის ენთუზიაზმი თანდათან დაცხრა და ერთ მოქუფრულ დღეს მის კაბინეტში ნამდვილი ბიუროკრატი ვიხილე, რომელიც მთელი არსებით მეუბნებოდა: – დამანებე კაცო თავი, საქმე არ გაქვსო? როგორც გავიგე, ადრე ასეთი წინადადებებით მისთვის პროფ. გურამ ყორანაშვილს მიუმართავს, მაგრამ არაფერი გამოსულია...

ამის შემდეგ ბატონ გ.თევზაძესთან ურთიერთობის ყოველგვარი ხალისი დავკარგე, მაგრამ მუხთალმა ბედმა მაინც მის კაბინეტში მიმიყვანა.

მეცნიერები რომ ნამეტან ცუდ, გაუსაძლის დღეში ვართ, ცნობილია და წუწუნს არ მოვყვები. პირადად ჩემთვის ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთი შანსი ე.წ. „გრანტის“ მიღება იყო. მეცნიერული პედანტობით ყველა სუბორდინაცია დავიცავი, ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ როგორმე ეს მხსნელი გრანტი მიმეღო, რათა სიმბოლური ხელფასის დანამატით მე და ჩემი ოჯახი საარსებო მინიმუმს ოდნავ მაინც მივახლოვებოდით. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამჯერად ჩემი ღმერთი ბ-ნი გ.თევზაძე იყო და მან უყოყმანოდ, ბიუროკრატიული ცინიზმით გამწირა.

აკადემიკოსმა გ.თევზაძემ და მისმა კოლეგებმა ისე შეადგინეს და შეუცვლელ დოგმად აქციეს გრანტების განაწილების ინსტრუქცია, რომ უბრალო მეცნიერებს არაფერს დაგვეკითხნენ, ცოტა კი დავქიჩმაჩდით, მაგრამ მივხვდით, ვერაფერს გავხდებოდით და ბიუროკრატთა ნებას მივენდეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, გრანტები იმათ დაირიგეს, ვინც კეთილმოსაგონარ საბჭოთა პერიოდში ავტომანქანებს, პრემიებს, საშინაო და საგარეო საგზურებს, ავეჯს და ათას სიკეთეს ითვისებდა: რაც შეგვეძლო, ავყვირდით. საბჭოთა ხანაში იმიტომ არ ვყვიროდით, რომ მინიმუმი ხელფასი გვქონდა და, ასე თუ ისე, მაინც ვარსებობდით, ახლა განწირულები აღმოჩნდით. დავწერე არზა და 1997 წლის 3 თებერვალს გ.თევზაძეს მივართვი. განცხადება არ მიიღო – ჩემი საქმე არ არისო, მაშინ პრეზიდიუმის კანცელარიას მივაკითხე, არც იქ მიიღეს: – თევზაძეს მდივანი უზის და იმას ჩააბარეო, იქაც ხელები გაასავსავეს. შემრჩა საჩივარი ხელში. გულდათუთქული დავრბივარ ალმა-დალმა კიბეებსა და დერეფნებში. მეგონა შემფარესა და დამცველს ვიპოვიდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. განაჩენი ასეთია: თუ ინსტიტუტის საბჭომ ხმა არ მოგცა, დაღუპული ხარ. ინსტრუქციის სხვა მუხლს ჯერჯერობით არავინ ითვალისწინებს, შენი პროექტით ქვეყნის აშენება რომ შეძლო, არავის აინტერესებს...

ბოლოს იძულებული გავხდი აკადემიის პრეზიდენტი შემეწუხებინა და განცხადება მის კანცელარიას 10 თებერვალს ჩავაბარე. მეორე დღეს მივაკითხე, გაეცინათ, პასუხს ათი დღის შემდეგ მოგცემთო. ოცი დღე გავიდა და გაირკვა, რომ ჩემი განცხადება პრეზიდენტს გ.თევზაძისათვის დაუწერია. 21 მარტს კაბინეტში თევზაძემ უტიფრად მომახალა: – შენი განცხადება არ მიმიღიაო. როდესაც აკადემიის კანცელარია შევძარი და ყველა თავზე დავაყენე, აკადემიის

გაგრძელება მე-6 გვ.

# სამდივნო თურქეთში განთავსდება

ამ დღეებში, ქალაქ სტამბულში მუსულმანური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. ისინი ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ. ასეთი ხასიათის შეხვედრა მსოფლიოში უპრეცენდენტოა, რადგან მასში რვა მუსულმანური ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობს. ამ ფორუმზე განიხილეს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რაც ამ ქვეყნებს გააერთიანებს. მიმომხილველების აზრით, ასეთი გაერთიანება წარმოადგენს ერთგვარ ბალანსს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც დიდ შვიდეულში შედიან. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი. სწორედ თურქეთი იყო ამ დიალოგის ინიციატორი. ამიტომაც ამ ორგანიზაციის სამდივნო თურქეთში განთავსდება. (მექპრესი)

# გააფრთხილეს თურქი სამხედროები

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააფრთხილა თურქი სამხედროები, რათა მათ არ გადააჭარბონ თავიანთ უფლებამოსილებას და თავი შეიკავონ პოლიტიკურ საკითხებში ჩარევისაგან. აღსანიშნავია, რომ თურქი სამხედროები კონფრონტაციაში იმყოფებიან ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმის გამო, რომ მათ არ სურთ ქვეყანაში პროისლამური ტენდენციების განმტკიცება. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლა მხოლოდ დემოკრატიული გზით უნდა მოხდეს, რასაც ამ ქვეყნის მოსახლეობამ უნდა შეუწყოს ხელი. (მექპრესი)

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ხელისუფლების კრიზისი გარდაუვალია

## ფილიპ ბობკოვი



**პოლიტბიუროს სხდომებზე**

პოლიტბიუროს სხდომებზე ხშირად არ მიწევდა დასწრება, ხოლო გამოსვლამ სულ სამჯერ მომიწია. მე მაშინ ვილებდი მოწვევას, როდესაც სუკ-ის თავმჯდომარე (ჯერ ვ.მ.ჩებრიკოვი, მოგვიანებით ვ.ა.კრიუჩკოვი) ადგილზე არ იყო. ასეთი შემთხვევაც იშვიათი იყო, თავმჯდომარეს რომ ორი მოადგილე ჰყავდა.

განსაკუთრებით პირველი ორი სხდომა დამამახსოვრდა. ეს იყო 1985 წლის იანვარი თუ თებერვალი.

პირველად მიწევს გამოსვლა იმ დარბაზში, სადაც ქვეყნის ბედი წყდება. დღეს ჩვენ უკვე კარგად ვიცნობთ ამ დარბაზს, კინოფილმებისა და ტელეგადაცემების წყალობით. მკაცრი გარემო. მაგიდასთან პოლიტბიუროს წევრები, კანდიდატები და სკკპ ცკ-ს მდივნები სხედან. ყველა ცნობილი ადამიანები არიან – ზოგიერთს პირადად ვიცნობდი, სხვებს სხდომებზე, კონფერენციებზე და პრეზიდიუმში შევხვედრილვარ.

სახელმწიფოს მმართველები... ისინი ჩვეულებრივ მეტყველებენ, მაგრამ აქ ნათქვამი მომავლის განმსაზღვრელია და მთელ ჩვენს ცხოვრებას მართავს.

მახსოვს იმ სხდომაზე მხარი დავუჭირე სომხეთის კომპარტიის პირველ მდივანს კ.დემირჭიანს, რომელიც ცდილობდა, მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება სომეხი ხალხის გენოციდის სამოცი წლისთავისათვის მიძღვნილ ღონისძიებაზე აზერბაიჯანის, საქართველოს და რუსეთის დელეგაციების მიწვევის შესახებ. დემირჭიანი ასევე დაჟინებით მოითხოვდა რესპუბლიკაში 24 აპრილის (თურქთა მიერ სომეხთა ჟლეტვის დღე) გლოვის დღედ გამოცხადებას. ეს საკითხი წინა დღეს უკვე გადაწყვეტილი იყო სამდივნოს მიერ, რომელსაც მ.სგორბაჩოვი უძღვებოდა.

მე ვფიქრობდი, რომ ასეთი დადგენილება საჭირო იყო, რათა ცოტათი მაინც შესუსტებულიყო სომხეთში იმ დროისათვის აღმოცენებული ანტიისლამური განწყობილება.

კ.უ.ჩერნენკოს ავადმყოფობის გამო სხდომა მ.სგორბაჩოვს მიჰყავდა. დემირჭიანის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ ნ.ა.ტიხონოვი, ა.ა.გრომიკო და კიდევ ვიღაც სხვა. დემირჭიანის წინადადება არ მიიღეს.

მე ორმა გარემოებამ გამაოცა: საქმე ის კი არ იყო, რომ წინადადება არ მიიღეს, ასეთი რამ ადრეც ხდებოდა, არამედ ის, რომ სხდომაზე არავითარი არგუმენტაცია არ მოუტანიათ. არავითარი სერიოზული მიზეზი, არ მიიღეს და მორჩა.

ისიც გამიკვირდა, რომ მ.სგორბაჩოვმა, იმან, ვინც უკვე მხარი დაუჭირა ამ წინადადებას ცკ-ს სამდივნოს სხდომაზე, ამჯერად გაჩუმება ამჯობინა. ასევე ცკ-ს მდივნებმა, წინა დღეს მიიღეს ეს წინადადება, ამჯერად სხვაგვარად მოიქცნენ.

მე პირველად ვიგრძენი, რა მკაცრი იერარქია არსებობდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. ყველას უნდა სცოდნოდა თავისი ადგილი. თუ პოლიტბიუროს წევრი ლაპარაკობს, სხვებმა უნდა მოისმინონ და არ შეეკამათონ. მე ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ცკ-ს მდივანი მტკიცედ იცავდა თავის პრინციპულ პოზიციას ასე, მაგალითად, ბელორუსიის ცკ-ს პირველი მდივანი პ.მ. მაშეროვი სწორედ ამგვარად იქცეოდა. იგივე შეიძლება ითქვას ვ.ი.დოლგიხის, მ.ვ.ზიმიანინის, აილუკიანოვის შესახებ.

თვითმხილველთაგან გამიგია, როგორ მიმდინარეობდა პოლიტბიუროს სხდომები მ.სგორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, როგორ მიყავდა სხდომები მ.ა.სუსლოვს. ნებისმიერი საკითხის განხილვა ხუთ, ათ, მაქსიმუმ ოც წუთს გრძელდებოდა.

ი.ვ.ანდროპოვის შესახებ ამბობდნენ, რომ მის მიერ ჩატარებული პოლიტბიუროს სხდომები ორი-სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ნამდვილად დასაჯერებელია, რამეთუ სწორედ ასე მიჰყავდა მას სუკ-ის კოლეგიის სხდომები.

სულ სხვანაირად მიმდინარეობდა პოლიტბიუროს სხდომები გორბაჩოვის დროს: როგორც წესი, დილის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ხშირად უფრო გვიანობამდეც დაუღალავი მუშაობა მიდიოდა. მოიწვევდნენ ხოლმე აუარება ხალხს, ყველა სიტყვით გამოსვლას ლამობდა. ცხადია არაიშვიათად ისეთი პრობლემები იყო გადასაწყვეტი, რომლებიც სერიოზულ განსჯას მოითხოვდნენ, მაგრამ როდესაც სამი საათის განმავლობაში მიდის დისკუსია საბავშვო ფონდის შექმნის შესახებ, ეს, გულახდილად რომ ვთქვათ, გაუგებრობას იწვევდა.

მარტო მისაღებში დაუსრულებელი ლოდინი რად ღირდა? პოლიტბიუროს სხდომაზე იძახებენ მინისტრს, მარშალს, აკადემიკოსს, საქმეს აცდენენ, აცდევინებენ სამ-ოთხ საათს, სანამ დარბაზში მიწვევა ეღირსებოდათ. ხოლო თვით საკითხი ხუთ წუთზე მეტს არ იკავებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათანობით პოლიტბიურო კარგავდა თავის ავტორიტეტს, ძირითადად იმის გამო, რომ მისი გადაწყვეტილებანი არავის აღარ აინტერესებდა. გადაწყვეტილებები ბევრი იყო, პირდაპირ მდინარედ მოედინებოდა, მაგრამ, როგორც წესი, აბსოლუტურად არ შეეხებოდა გლობალურ ცხოვრებისეულ პრობლემებს.

პოლიტბიუროს სხდომები უფრო დაბალი საფეხურის პარტორგანიზაციის კრებებს ემსგავსებოდა, სადაც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ხალხის შეკრებას და მრავალი მომხსენებლის მომზადებას, ხოლო გამომსვლელები რას ლაპარაკობდნენ, არავის არ აინტერესებდა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე ეს არავითარ გავლენას არ ახდენდა. ცხადი იყო, რომ შედეგი კი არ აინტერესებდათ, არამედ – თვით განხილვის ფაქტი. სამწუხაროდ, ასეთი სტილი დამკვიდრდა პოლიტბიუროში გორბაჩოვის დროს.

მახსენდება, გამოდიხარ საღამოს, გარეთ, სხდომის შემდეგ, ცოტას გაივლი ივანოვოს მოედანზე მანქანის მოსვლამდე, შეხედავ კრემლს და გულში რაღაც სიმძიმეს გრძნობ... რატომ? პასუხი ერთმნიშვნელოვანია. ყოველი დღის გასვლისას უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ხელისუფლების კრიზისი გარდაუვალია. პარტია, მისი ხელმძღვანელი ორგანოები, სულ უფრო და უფრო კარგავდნენ თავის ფუნქციებს, თანაც არც საბჭოებს უნაწილებდნენ.

თანდათან იკარგებოდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიმართ პატივისცემა, პოლიტბიუროს მოღვაწეობა ბევრისათვის გამაოცებელი ხდებოდა. ყველანაირი აზრი მიტრიალებდა თავში, მაგრამ უმეტესად – ცუდი.

ერთი რამ მამშვიდებდა: არცერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს კარიერის გულისათვის. გამოდის, ბედს ასე სურდა, რომ მე აქ უნდა ვყო. მე ყოველთვის ვაცნობიერებდი, რომ შეცდომები მეც მქონდა. მაშინდელი პრობლემები დღეს სხვაგვარად გადაწყდებოდა, მაგრამ სინდისის წინააღმდეგ ჯერ არ წავსულვარ.

მთელი ამ დროის განმავლობაში მუშაობა არ იყო იოლი. სხვადასხვანაირი ადამიანები მხვდებოდნენ; იყვნენ კარიერისტები, შურიანები, ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც მხოლოდ ფასადს ხედავდა, პასუხისმგებლობის იმ ტვირთს, რომელიც აწვა ჩვენს მხრებს–ვერა.

# სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან!

მამულოვის სიტყვით, „სომხური კულტურის შეღწევა ქართულ მიწაზე ხდება ჯერ კიდევ V ს-ის დასაწყისში, რაც უკავშირდება დიდი განმანათლებლისა და სწავლულის – ბერ მესროპ მაშტოცის სახელს. ეს უკანასკნელი, როგორც გვიდასტურებს მისი მოწაფე კორიუნი (მელამ თავისი კუდი დაიმოწმა, მაგრამ ამ შემთხვევაში რომელია მელა და რომელი მისი კუდი? – ა.ა.), სომხური დამწერლობის შექმნის შემდეგ, გაეშურა მეზობლებთან – ივერიელებთან და ალბანელებთან, რათა მათთვისაც შეედგინა ანბანი, შესატყვისი მათი მშობლიური ენების თავისებურებებისა... მ.მაშტოცის ყოფნა საქართველოში, ალფავიტის შექმნის გარდა, მიზნად ისახავდა არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას – განათლების კერების ორგანიზაციას". როგორ შექმნიდა მაშტოცი ქართული ენის თავისებურებების შესატყვის დამწერლობას, როცა მან, იგივე კორიუნის მოწმობით, ქართული ენა არ იცოდა? ამ გადაულახავი დაბრკოლების შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ მამულოვს რა დააბრკოლებს?

მამულოვი სომეხ ბაგრატუნთა შტოდ აცხადებს ქართველ ბაგრატიონთა დინასტიას. საქართველოს ბაგრატიონი მეფეებიო, ე.ი. დავით აღმაშენებელიც, თამარიც და სხვები „გრძნობდნენ თავიანთ თავში სომხური სულის გავლენას... დანამდვილებით ცნობილია, რომ ბევრი მათგანი ღრმა სიმპათიით და მზრუნველობით ეკიდებოდა სომხებს".

მზრუნველობით ეკიდებოდნენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართველებისთვის დამახასიათებელი იყო შემწყნარებლობა, მეორეც, ქართველ პოლიტიკოსებს, როგორც ითქვა, არ აწყობდათ სომხეთის მაჰმადიანურ ქვეყნად გადაქცევა. რაც შეეხება ბაგრატიონთა საგვარეულოს, მათ უძველეს მამულად სომხური წყაროები ასახელებენ სპერს, ხოლო ეს მხარე, სტრაბონის მოწმობით, ქრისტეს დაბადებამდე II ს–ში სომეხთა მეფეს მიუტაცებია ქართველებისგან ზოგიერთ სხვა ქართულ მხარესთან ერთად. მაგრამ ქართველები საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ დაკარგული მიწების დასაბრუნებლად და მიზანსაც აღწევდნენ. აკი თბილისიც ოთხასი წლის ტყვეობის შემდეგ გამოიხსნა დავით აღმაშენებელმა. ქართველები ძველად შავ ზღვასაც სპერის ზღვას ეძახდნენ, რაც აგრეთვე სპერის ქართულობის დასტურია.

მამულოვის განცხადებით, ბაგრატიონებზე ადრე, თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე სომეხი არშაკიდები მეფობდნენ იბერიის სამეფოში. ჯერ ერთი, არშაკიდები პართელები იყვნენ და არა სომხები, მეორეც, სომეხი მემატიანის, ფავსტოს ბუზანდის ცნობით, IV ს–შიც კი იბერიის მეფეები ფარნავაზიანები ყოფილან. ეს დინასტია კი ჩვენი ცნობილი მეფის, ფარნავაზის სახელს უკავშირდება.

სომეხ საერო და სასულიერო ხელისუფალთა მისწრაფებებს, გაბატონებულიყვნენ ამიერკავკასიაში, თუ მთელს კავკასიაშიც, შედეგად მოჰყვა იმგვარი იდეოლოგიის წარმოქმნა, რომ კავკასიელ ხალხებს თუ რაიმე მონაპოვარი გააჩნიათ, ეს სულ სომხების ღვაწლია. ამის შედეგია ქართველთა მეფეების სომხებად გამოცხადება, საქართველოს გაქრისტიანება სომხების წყალობით, ქართული დამწერლობის შექმნა სომეხი მაშტოცის მიერ და ა.შ. როგორც ჩანს, მამულოვს და მის ამქარს არ ეთმობათ ეს ძველისძველი, დრომოჭმული სომხური იდეოლოგია და მის აღორძინებას ცდილობენ. ამის დასტურია ისიც, რომ საუბრობს რა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებზე, მამულოვი აღნიშნავს: „1918 წ. დასასრულიდან, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეს მაზრები შევიდნენ საქართველოს შემადგენლობაში (უსამართლოდ? – ა.ა.).

საქართველოში სომეხთა ყველაზე უფრო კომპაქტური, ერთგვაროვანი მოსახლეობის ამ რეგიონს ეწოდება ჯავახქი, რომელიც შეესატყვისება ისტორიული სომხეთის ჩრდილოეთ მხარეს". ჯავახეთის სომხურობის დამადასტურებელი მასალები არ არსებობს. მაშინ, როდესაც სომეხთა მეფეებმა მიიტაცეს ტაო, სპერი და სხვა ქართული მხარეები, მათ დაიპყრეს ნახევარი ჯავახეთიც, მაგრამ ქართველებმა მალევე დაიბრუნეს იგი უკან და ეს მხარე ქართული კულტურის ერთ-ერთ ცნობილ კერად იქცა. რაც შეეხება ჯავახეთში კომპაქტურ სომხურ მოსახლეობას, ის, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის წყალობით გაჩნდა XIX ს-ის 30-იანი წლებიდან საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ. მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ მამულოვი (ასევე სომხეთა გარკვეული წრეები) ჯავახეთის გარდა სამცხესაც (ახალციხის მხარეს) ებღაუჭებიან. მამულოვი, უთუოდ, იმასაც ფიქრობს, რომ რაკი საქართველოს დღემდე სომხების წყალობით მოუღწევია (ჩვენში უნარიანი ჩეკისტებიც კი სომხები ყოფილან!), სამცხე-ჯავახეთის სომხეთისთვის გადაცემა სალაპარაკო რად უნდა გახდესო. როგორც ეტყობა, მამულოვს და მის ამქარს სომხეთის დაშნაკური მთავრობის 1918 წ. გეგმებიც მოსწონთ. მაშინ დაშნაკები ხომ ბათუმის მისაკუთრებაზეც ფიქრობდნენ (შავ ზღვაზე გასასვლელი გვჭირდებაო). მამულოვის ამგვარი ჩანაფიქრის გამომხატველად მიგვაჩნია მისი წიგნის („სომხები საქართველოში") ერთი ადგილი: „XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოდან 90-იანი წლების დამდეგამდე სომხური თემის ცხოვრება აჭარაში, ობიექტური მიზეზების შედეგად, პრაქტიკულად ჩაკვდა".

1991 წ. დასაწყისიდან მან განაახლა თავისი მოღვაწეობა რესპუბლიკის (აჭარის რესპუბლიკა? – ა.ა.) უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, აბაშიძის აქტიური მონაწილეობით. ამჟამად მოქმედებს სომხური საქველმოქმედო საზოგადოება „ვერატნუნდი", ფუნქციონირებს სომხური ეკლესია (დახურეს 1918 წელს, გადააქციეს პლანეტარიუმად) და სკოლა, მუშაობს აღდგენილი თეატრი, გამოდის გაზეთი „ალბიური".

ინტერესმოკლებული არაა აღინიშნოს, რომ წარმოშობით ბათუმლები არიან სომხეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა.აზნაურიანი, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში ს.სარხოიანი, სამამულო არქიტექტურის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი ამნდოიანცი, ცნობილი კინორეჟისორი ს.პუჩინიანი, დიდი მხედართმთავარი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გ.კამოევი და სხვა". მამულოვი და ძმანი მისნი სამცხეს (ახალციხის მხარეს) იმიტომაც ებღაუჭებიან, რომ აქედან გზა გაიკვლიონ აჭარაში, ბათუმში. თუ ისინი ამას მშვიდობიანი გზით ვერ მიაღწევენ, არც მუქარაზე ამბობენ უარს. ამგვარი რამ იყო გაზეთ „ლრაგირში" (შესაძლოა, სხვაგანაც იყო და ჩემთვის უცნობია).

მამულოვს დავიწყებია ეთქვა, რომ სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან! მისი აზრით, საქართველო ხომ სომხური სულის ერთ-ერთი გამონაშუქია!

**ალექსანდრე აბდალაძე**

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №55-56.

## ლენინს დედის გვერდით დაასაფლავებენ

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა, რომ ვლადიმერ ლენინის მავზოლეუმიდან გამოტანა და მისივე ანდერძის მიხედვით, პეტერბურგში დედის საფლავის გვერდით დასაფლავება გადაწყდა. „ამას რეფერენდუმი არ სჭირდება. წითელი მოედანი სასაფლაოდ არ უნდა გადავაქციოთ“ – დასძინა პრეზიდენტმა.

## დაეშვა სსრკ-ს დროშები

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემებზე ანდრეევსკის ალმები აღიმართა – თეთრი, სწორკუთხოვანი ნაჭერი დიაგონალური ცისფერი ჯვრით. რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულების შესაბამისად, საზეიმოდ დაეშვა სსრკ–ს სამხედრო საზღვაო ფლოტის დროშები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის ექვსი წლის განმავლობაში ფრიალებდნენ შავი ზღვის ფლოტის გემებზე.

## ყურეს პრეზიდენტის სახელი ეწოდა

თურქმენეთის პარლამენტის პრეზიდიუმის დადგენილებით მიიღეს გადაწყვეტილება კასპიის ზღვის კრასნოვოდსკის ყურის სახელის შეცვლის შესახებ. ყურეს თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის სახელი ეწოდა. დღეისათვის, რესპუბლიკაში ნიაზოვის სახელს 100 ობიექტი ატარებს, მათ შორის ერთი ქალაქი. აღსანიშნავია, რომ 1994 წელს პრეზიდენტმა ნიაზოვმა ყველას მოუწოდა მის სახელთან დაკავშირებით სახელწოდებების შეცვლის კამპანიისაკენ.

## პრემიერ-მინისტრი თანახმაა გადადგეს

თურქეთის სამთავრობო კოალიციის წევრი, ჭეშმარიტების გზის პარტიის განცხადებით ისლამური კეთილდღეობის პარტიის წევრი თურქეთის პრემიერ–მინისტრი ნეჯმეტინ ერბაქანი თანახმაა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. ამავე პარტიის განცხადებაში ნათქვამია, რომ პრემიერ–მინისტრის პოსტს საგარეო საქმეთა მინისტრი თანსუ ჩილერი დაიკავებს.

## „რუსეთი ჩრდილო კავკასიაში სამარეს გაითხრის“

„ჩეჩნეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მიჩუმათება მისი ჩრდილოეთკავკასიაში გავრცელების ტოლფასია“ – განაცხადა რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა და ფედერალურ ურთიერთობათა სამინისტროს წარმომადგენელმა მიხაილ ბურლაკოვმა. მისი თქმით, ჩეჩნეთში არასასურველი სიმპტომები გენერალ დუდაევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო. ჩეჩნეთში მცხოვრებ რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების წინააღმდეგ ფედერალურ ხელისუფლებას არანაირი რეაქცია არ გამოუმჟღავნებია – დასძინა ბურლაკოვმა.

დღეისათვის ანალოგიური სიტუაცია იქმნება სხვა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებშიც. კერძოდ, რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების ფაქტები გახშირდა დაღესტანში, ადიღესა და ყარაჩაი–ჩერქეზეთში.

„ამ სიმპტომების იგნორირებით რუსეთი ჩრდილო კავკასიაში სამარეს გაითხრის“ – აღნიშნა მიხაილ ბურლაკოვმა.

# ერთი პროფესორი ორი აკადემიკოსის წინააღმდეგ

მეოთხე გვერდიდან

ვიცე–პრეზიდენტის ანდრია აფაქიძის თანდასწრებით აღიარა: – განცხადება კი ვნახე, მაგრამ შენი რომ იყო, დამავიწყდაო.

– ბატონო გურამ, გრანტს რა ვუყო, ხელფასს რა ვუყო, შიმშილით ვკვდებით.

– შენს დირექტორს მიაკითხეო!

მეტი გზა არ მაქვს, ვისარგებლებ მკითხველის მოთმინებით და საზოგადოებას ჩემ დირექტორს გავაცნობ.

## შტრიხები აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის უსიამო პორტრეტისათვის

ვინც ქართულ პრესას კითხულობს, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი და პროფესორი გურამ ყორანაშვილი ყველამ იცის. თუ რას წარმოადგენს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში გიორგი მელიქიშვილის ფენომენი, იმდენად ხატოვნად, იმდენად ამომწურავად აქვს გაშუქებული ბატონ გურამ ყორანაშვილს და კიდევ პროფესორ ზურაბ რატიანს, რომ მე ველარაფერს დავუმატებ, მხოლოდ მკითხველს ცხონებულ სარგის კაკაბაძის აზრს მივაწოდებ. ბატონი სარგისი საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტში ხშირად მოდიოდა, შესვენების ჟამს მას ახალგაზრდებთან საუბარი უყვარდა:

– რა დღეში ვართ ეს ქართველები, რა დღეში, ჩვენს ისტორიას საეჭვო ხალხი დაეპატრონა. სიმონ ჯანაშიამ შეაცვლევინა გვარი და მელიქიშვილზე დაწერა. რაც დირექტორი გახდა, იმის შემდეგ ჩასაფრებულია და ქართველ ნიჭიერ მეცნიერებს მუსრს ავლებს. ნახავთ, ისტორიის ინსტიტუტში მალე სადირექტორო კაცი აღარ იქნება. მაგას დიდი ცოდვა აქვს ჩადენილი, ავაზაკობის ტოლფასი. საქართველოს მთავარმმართებელთან ვასილა მჟავანაძესთან საგანგებოდ მივედი და იმ ცოდვაზე ვუთხარი, თან ვარწმუნებდი – ასეთი კაცი ეროვნულ ისტორიას დაამუნათებს, დააცოდვილებს, მოგვეშველე, მისგან განგვათავისუფლე და შთამომავლობას გაჰყვება თქვენი სახელი – მეთქი. მომისმინა, მაგრამ იცით რა მითხრა? უცნაური ხალხი ხართო ეს ქართველები, გიორგი მელიქიშვილი საბჭოთა კავშირმა და მთელმა მსოფლიომ აღიარა, ლენინური პრემიის ლაურეატი სხვა ვინ გვყავსო? ახლა რომ ვამხილოთ, რას მოვიგებთ?! არაფერს, მოწინავე რესპუბლიკას თავი მოეჭრებაო. ველარ შევესიტყვე, წამოვედი...

ოო, ცუდად მენიშნა. მე ვინ ვარ, მაგრამ გიორგი მელიქიშვილი, ეს საიდუმლოებით მოცული პიროვნება მუდამ ისე მდევნიდა, კინაღამ საყვარელ პროფესიაზე ხელი ამაღებინა. „ერიდე და შორს იყავი“, აი, ჩემი მისდამი დამოკიდებულება, თუმცა რაღაც ბედისწერა მაინც ამოგაგდებს კალაპოტიდან და გაიძულებს სიმართლე თქვა, თუგინდ სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს. ამჯერად მხოლოდ გ.მელიქიშვილის ეროვნულ–სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მხოლოდ რამდენიმე ცოდვას ჩამოვთვლი:

**ცოდვა პირველი.** ამ კაცმა საქართველოს ისტორია სულმნათი ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახულ კარდინალურ გზას ააცდინა და ქართველთა ეთნოგენეზი ისე დახლართა, ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ, ჩვენ თვითონ აღარ ვიცით. ამაოდ იბრძვის გურამ ყორანაშვილი: ქართველთა ეთნოგენეზზე დისკუსია მოვაწყოთო და საზოგადოებას სიმართლე ვუთხრათო. ჯერჯერობით ვერაფერს მიაღწია. სწორედ გურამ თევზაძე და მისნაირები არ აძლევენ მას გასაქანს (იხ.გ.ყორანაშვილის მიერ გ.თევზაძეზე პრესაში გამოქვეყნებული წერილები).

**ცოდვა მეორე.** გიორგი მელიქიშვილი ეროვნულად განწყობილ მეცნიერებზე ჩასაფრებულია და ობობასავით ნადირობს. ინტრიგებისა და ცილისწამებათა ქსელში ხვევს და ვისაც ვერ დალუპავს, ინსტიტუტიდან აძევებს. ამ თვალსაზრისით მისი ხანგრძლივი „ღვაწლის“ ჩამოთვლას რამდენიმე გვერდი არ ეყოფა, მხოლოდ ახალ ფაქტებს დავასახელებ. გიორგი მელიქიშვილმა შტატშემცირების გამოყენებით ინსტიტუტიდან სხვადასხვა დროს დაითხოვა პროფესორები: არჩილ ათანელაშვილი, გიორგი აფრასიძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, თამაზ ბერაძე, ჯონდო გვასალია (ჯონდომ კინაღამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, დროულად მიეშველნენ, გადაარჩინეს...), დარეჯან მეგრელაძე, ოთარ ჟორდანია, გიული ძიძიგური და სხვები. ასე გაიწირნენ სპეციალისტები, ისინი, ვის მხრებზედაც ამჟამად საქართველოს ისტორიაა. შედეგიც სახეზეა, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ფაქტიურად პარალიზებულია. ახდა პროფესორ სარგის კაკაბაძის წინასწარმეტყველება: ისტორიის ინსტიტუტში სადირექტორო კაცი ძნელად მოიძებნებაო. სწორედ ამით ისარგებლა გ.თევზაძემ და გ.მელიქიშვილის „ხელმწიფება“ ხუთი წლით გააგრძელა.

**ცოდვა მესამე.** მიუხედავად იმისა, რომ მეშვიდე წელია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვითვლებით, ვერა და ვერა, ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ეროვნულ დაწესებულებად ვერ იქცა. გ.მელიქიშვილი კონსერვატორულად ინარჩუნებს ძველ, საბჭოურ სტრუქტურას, რითაც განპირობებულია ქართველთა წინააღმდეგ ველიკორუსული შოვინიზმის, მანქურთული პოლიტიკის განხორციელება. გ.მელიქიშვილის ძალისხმევით არავითარი რეორგანიზაცია არ ხდება, ეროვნულობისათვის გარჯა „ჩამორჩენილობად“, „ცუდ ტონად“ ითვლება. დირექტორის მიერ შერჩეული ხალხი შეუცვლელნი არიან. სამეცნიერო საბჭოც მათია და ყველა თანამდებობაც, ქართველთა ყველა მტერს ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი. ბუნებრივია, „გრანტებიც“ თვითონვე დაირიგეს, თემის აქტუალობას და ღირსებას არავინ ითვალისწინებს. გ.თევზაძის ინსტრუქციით კი ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილება შეუცვლელი და საბოლოოა. ადრე პარტიულ და პროფკავშირულ კრებებზე სამშობლოს ინტერესებისა და ჩვენი ადამიანური უფლებებისათვის ვიბრძოდით. ახლა ყველაფერი დირექტორისა და მისი ჯგუფის ხელთაა, ვინც მოსწონთ, ულუფას აძლევენ, ვინც არა – პირდაპირი გაგებით შიმშილით ხოცავენ. მე ჩემი ოჯახით ვშიმშილობ, ინსტიტუტში ჩემნაირები ბევრია...

**ცოდვა მეოთხე.** ინსტიტუტში თანამდებობრივი არჩევითობა უარყოფილია. როგორც წესი, კონკურსები არ ეწყობა. ყველაფერს 80 წელს მიღწეული დირექტორი თავისი სანდო გზირებით აგვარებს და აჭახრაკებს. საერთო კრებას საერთოდ არ იწვევენ (თანამშრომელთა დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად). პლუტოკრატია გალაღებულია, ზეიმობს, მასა დამონებული და დაშინებულია, ჩვენნაირ თავგანწირულებთან დალაპარაკებისაც კი ეშინიათ...

**ცოდვა მეხუთე.** აფსუურ–ოსური პრობლემის წამახალისებელი აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი გიორგი მელიქიშვილია. ჩვენი ინსტიტუტიდან მისი უშუალო ინიციატივით და ხელდასმით მოხდა ვლადისლავ არძინბას და ლუდვიგ ჩიბიროვის უმაღლესი მეცნიერული ხარისხებით აღჭურვა, აღარას ვამბობ სხვა წვრილფეხობაზე...

გიორგი მელიქიშვილი უხმაუროდ, ჩუმად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე რუსეთის იმპერიაში მუდამ დიდ სამსახურს ასრულებდა და ახლაც ასრულებს. როგორც ჩანს, მას ყავლი არ გასვლია. ვაი, ჩვენი ბრალი, იგი და მისნაირები – მაღალი სამეცნიერო რეგალიებით აღჭურვილი კოსმოპოლიტები საქართველოში ისევ საჭირონი არიან, სწორედ აქ არის გიორგი მელიქიშვილის ძალა, მისი დამსახურებით ის შეუცვლელია... ჩვენ, ქართველებს, არასდროს არ გვყოფნის ნებისყოფა, მტერ–მოყვარე გავარჩიოთ... რისთვის გადადო თავი სპიკერყოფილმა აკადემიკოსმა გურამ თევზაძემ და სამასკაციანი კოლექტივის გაბითურების შედეგად ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორად კვლავ გიორგი მელიქიშვილი რატომ „აირჩია?“

გიორგი მელიქიშვილის და მისნაირი რენეგატების თემა ამოუწურავია. ვიდრე ქართველები ქართული ცხოვრების წესს და ეროვნულ ცნობიერებას არ აღვიდგენთ, ჩვენი საშველი არ იქნება...

**ლევან ფრუიძე**

## [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ავღანეთში გენერალ მასუდის მომხრე შეიარაღებული ფორმირებები სულ უფრო უახლოვდებიან ქაბულის მახლობლად მდებარე ავიაბაზას. ბრძოლები თალიბებსა და მასუდის მომხრეებს შორის ავიაბაზიდან 2–3 კილომეტრში მიმდინარეობს.

* * *

ისრაელში ვიზიტად იმყოფება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე. იგი მოინახულებს ისრაელში მდებარე წმინდა ადგილებს.

* * *

რასიზმის აღმოფხვრა თავისი ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანეს საკითხად გამოაცხადა აშშ–ს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა. მისი თქმით, 30 წლის წინ არსებული რასისტული პრობლემები აშშ–ში კვლავაც თავს იჩენს. მათი დაძლევის მიზნით, კლინტონის ინიციატივით შეიქმნა ექსპერტთა საბჭო, რომელმაც მთელს ქვეყანაში უნდა მოაწყოს ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის ფაქტების საჯარო განხილვა.

* * *

გუშინ მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროკომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლეონ ბრიტონი, რომელიც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხებს განიხილავს.

* * *

ხორვატიაში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობს. ანალიტიკოსთა აზრით, ტუჯმანი მესამედ დაიკავებს ხორვატიის პრეზიდენტის პოსტს.

* * *

სახელმწიფო პროკურორის წინადადების თვალსაზრისით, ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა პრემიერ–მინისტრის ბენიამინ–ნეთანიანჰუსათვის ბრალდების წამოყენებაზე.

მიმდინარე წლის აპრილში მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დასდეს ბრალი.

* * *

გრძელდება არაბთა საპროტესტო აქციები აშშ–ში კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციის საწინააღმდეგოდ. ამ რეზოლუციაში გამოთქმულია მოწოდება ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის ცნობის შესახებ.

* * *

თურქმენეთის პარლამენტის მიერ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად შენარჩუნებულია სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით დასჯა. სასჯელის უმაღლესი ზომა 13 შემთხვევაშია გათვალისწინებული, მათ შორის განზრახ მკვლელობა, სახელმწიფოს ღალატი, გაუპატიურება, შპიონაჟი, პრეზიდენტის სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფა. სისხლის სამართლის ახალი კოდექსით თავისუფლების უმაღლეს ზომად განსაზღვრულია 20 წელი.

17 ივნისს, 14 საათზე „საქართველოს ნაციონალური ერთობა“ მართავს პრესკონფერენციას.

მისამართი: თავისუფლების მოედანი 5, რესპუბლიკური პარტიის ოფისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11, მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 დოლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება ოროთახიანი ბინა აბანოთუბანში 28 კვ.მ და 22 კვ.მ სამზარეულოთი, ავეჯით, ტელეფონით და საკუჭნაოთი. ფასი შეთანხმებით. ბეთლემის ქ.№35 ტელ. 98-89-75

იყიდება ოთხნახევრიანი იზოლირებული ბინა სოლოლაკში, ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-76-81; 98-68-09;

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში კერძო ბინა 1000 კვ.მ მიწის ფართობით ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-09-37; 29-21-75

ვიყიდი სამოთახიან ბინას 7000$-ის ფარგლებში. ნუცუბიძის პლატოზე ან ძველ უბანში. ტელ. 37-28-25

იყიდება 2 ოთახიანი, მაღალჭერიანი, სუფთა ბინა, ფართი 40 კვ.მ, რკინის კარებით, სარდაფით, ავტოსადგომით, ქუჩის მხარეს აქვს აივანი. სამზარეულო და საპირფარეშო ორ ოჯახზე. ფასი 12000 დოლარი. ტელ. 98-75-15

იყიდება ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას I კვარტალში მეტრო „გოცირიძესთან". ხუთსართულიანი სახლის V სართულზე. ტელეფონით, ცხელი წყალი მუდმივად, ბინა ყარემონტოა, ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-33-06

იყიდება კერძო სახლი ნაძალადევის რ-ნის კომისარიატის ზევით ახტალის ქ №6, ხეხილიანი ეზოთი. ფასი 6000 $ გაფორმებით. ტელ. 31-62-04 თამაზი

ვცვლი რუსთავიდან 2 ოთახიან ბინას თბილისში 1 ოთახიან ბინაზე გლდანის მასივში IV-V მკრ-ბის ჩათვლით, II ან III სართულზე. მის. რუსთავი, IV მკრ, კორპ. 40, IV სართული, სტამბულის ბაზრის პირდაპირ. ტელ. 67-64-20 სოფიკო; 60-83-48 ნუნუ

### სხვადასხვა

იყიდება გერმანული აკორდეონი. ფასი 120 ლარი. ტელ. 98-38-98

ვყიდი ინგლისური სადილის სერვიზს 12 კაცზე, (62 ნაჭერი). ფასი 700 ლარი. არაბული სასადილო (4 ნაჭერი). ჩუქურთმებით, 4000 ლარი, ტელ. 36-35-80

მაქვს პედაგოგიური და სამედიცინო-ფარმაცევტიულ განათლება, მოვუვლი მოხუცებულს ან ბავშვს (5-10 წლამდე), აგრეთვე ვიმუშავებ კერძო ფირმაში ან რესტორანში ნებისმიერ სამუშაოზე. ტელ. 98-38-98

იყიდება პიანინო „საქართველო" კარგ მდგომარეობაში. ტელ. 38-26-67

იყიდება 6 ნაწილისაგან შემდგარი ასაწყობი ბუხარი. ფასი 250$ ტელ. 31-62-04 თამაზი

იყიდება ორი მაცივარი „ოკა-6" და „სნაიგე" (ბალტიისპირეთის), სარეცხი მანქანა, შეფუთული „რიგა-17" და რუმინული ავეჯის ვიტრინა. დიდი საოჯახო კომბაინი, შეფუთული, გერმანული. გალვანიზაციის აპარატი (სამედიცინო). ტელ. 72-40-57

### ქირავდება

ქირავდება სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი გოგონასათვის. ფასი 60 დოლარი. ტელ. 93-11-81 მარინა

ქირავდება ვაკეში კერძო ბინის ეზოში ერთოთახიანი ბინა. ფასი 70 ლარი. ტელ. 29-09-37

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, დიღმის მასივში ხიდთან პირველი 14 სართულიანი სახლის ბოლო სართულზე, ტელეფონით. ლიფტი მუშაობს. ფასი 120 დოლარი. ტელ. 98-25-63

### ვასწავლი

მოვამზადებ მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს ინგლისურ ენაში ტელ. 31-16-87; გერმანულ ენაში ტელ. 36-09-48 ლია

### მოვუვლი

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ტელ. 73-02-74 ანოლი

მოვუვლი ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. მაქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. სანიტარული წესების სრული გარანტიით. გულთბილი ატმოსფერო და სიყვარული ნებისმიერი ასაკის ბავშვს არ მოაკლდება. ტელ. 29-16-33 ქალბატონი გულიკო.

ვაკეთებ სამედიცინო მასაჟებს, მოვუვლი ავადმყოფს და დავეხმარები კარგადმყოფთ საოჯახო საქმეებში, მოვამზადებ ბიოლოგიაში. ტელ. 73-35-26 ფატიმა


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

**განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე**

**თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში**

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60

ფაქსი: 29-49-61




მეუღლე ლიდა, შვილები ნანული, ლიანა ენუქიძეები, შვილიშვილები მამუკა, გოჩა, გიორგი, მიშიკო, ნიკა, ნინო, სიძე გენო დეკანოსიძე, რძალი ნანა ყიფიანი, ძმისშვილი თამრიკო ენუქიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომის ვეტერანი, დამსახურებული ინჟინერი

**ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ენუქიძე**

პანაშვიდი: 15, 16 ივნისს 17 საათზე
დაკრძალვა: 17 ივნისს 16 საათზე
მისამართი: მატროსოვის ქ.№3 (მეტრო „სამგორთან").


**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


## რა როდის რომელ არხზე

## ორშაბათი, 16 ივნისი

**1** 7.30 ალიონი 18.00 მოამბე ორშაბათი მძიმე დღეა ექიმის მოსვლამდე 50/50 რამპა 20.00 მოამბე პროფილი 20.40 ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი 21.20 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა) 22.00 ვესტნიკი ვიდეოპატრული 02 პროგრამა დღე საფეხბურთო მიმოხილვა 23.00 ქართული მხატვრული ფილმი „ღამის ზარები" 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი 19.20 ზღაპრის ტელედარბაზი 19.50 საქართველოს მოამბე 20.00 მოსკოვი-თბილისი 21.20 ესტაფეტა 21.30 არაჩვეულებრივი გამოფენა 21.40 ინფორმაცია მეორე არხი და რეკლამა 22.05 ამერიკული მხატვრული ფილმი „მისი უდიდებულესობის საიდუმლო სამსახურში" დასასრულს - მუსიკა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი" 11.45 მულტფილმები 12.15 დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება" 13.30 მხატვრული ფილმი „ხსნა არ არის" 15.10 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა 16.15 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები" 16.45 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიქსი" 17.45 საინფორმაციო გამოშვება 18.00 მულტფილმები.

**ОРТ** 16.00, 19.00, 2.50 ნოვოსტი 16.20 მულტსერიალი 16.45 მარათონი-15 17.05 ვარსკვლავთსაათი 17.40 „თოვლის კაცი - გარი" 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა 18.35 სამყაროს გარშემო 19.20 „გოგონა, სახელად ბედი" 20.05 ამინდი 20.10 პიკის საათი 20.35 გამოიცან მელოდია 21.00 ვ.პოზნერის პროგრამა 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია 22.40 გადაცემათა პროგრამა 22.45 მხატვრული ფილმი „გზა სატურნისაკენ" 0.20 თეატრი+TV 1.05 მხატვრული ფილმი „მონოლოგი" 3.00 პრეს-ექსპრესი.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ვესტი 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა 10.00 საეკლესიო კალენდარი 10.05 ტელესერიალი „ხენდრო" 10.35 საკუთარი თავის რეჟისორი 11.10 „სანტა-ბარბარა" 12.15 საპარლამენტო ცნობარი 12.45 გრაფომანი 13.00 ფილმი-ბალეტი „სატანის როკვა" 14.40 რეტრო-შლაგერი 14.55 უძრავი ქონების მაღაზია 15.25 ერთად 15.50 მულტფილმები 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები 16.45 ცხოვრების წესი 17.10 წითელი წიგნი 17.25 ტელესერიალი „ხენდრო" 18.15 ტამ-ტამ-ნოვოსტი 18.25 ლუკომორიე 18.50 შეხედე საკუთარ თავს 19.05 რუსები 19.20 პულსი 20.00 „სანტა-ბარბარა" 21.35 საღამო მშვიდობისა 22.15 კალათბურთი. ენბეას ჩემპიონატი. ფინალი. ტრანსლაცია აშშ-დან 0.30 გადაცემათა პროგრამა 0.40 მორიგე ნაწილი 1.05 ბრაიან ადამსი კრემლში 1.55 ღამის პროგრამა 2.10 პროდუქცია - ფოსტით.

**НТВ** 7.00, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 1.00 სევოდნია 7.15, 8.15, 10.15 სპორტი 7.25, 9.45 კრიმინალი 7.35, 8.35 კარდანის ლილვი 7.40 გრადუსნიკი 7.45, 10.20 ისტორიული დღე 7.50 ზღვარს მიღმა 8.20 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები 8.40, 10.45 მე - პირადი მცველი 8.50 გაზეთების მიმოხილვა 9.10, 10.25 ხარის საათი 9.20 გამოსადეგი 9.35 ფინანსები და ბიზნესი 9.50 ცინცხალი გონებით 10.35 რეტრო-ნოვოსტი 10.50 კინოსიახლენი 11.15 დილა 11.30 მხატვრული ფილმი „სიყვარულის აჩრდილი" 13.20 გამოსადეგი 13.50 კომპიუტერი 14.00 ღია სამყარო 14.45, 2.00 ტელემაღაზია 15.20 დიდი ვრემეჩკო 16.05 „ლავჯოი" 17.20 ფინანსები და ბიზნესი 17.35 დისტანცია-60 18.35 „ცისფერი ხე" 19.30 საფეხბურთო კლუბი 20.40 დღის გმირი 21.05 მხატვრული ფილმი „გაუბედურებული სიცოცხლეები" 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად" 0.40 ვრემეჩკო 1.20 ღამის ვრემეჩკო 2.00 ტელემაღაზია.

**TV6** 8.00, 10.00, 15.50, 20.55, 22.00, 0.45 ექვსი ახალი ამბავი 8.10, 18.35, 1.10 დისკარხი 8.40 მულტსერიალი 9.10, 19.10, 1.00 საგზაო პატრული 9.30 90x60x90 9.45, 12.25, 19.00 აფთიაქი 10.10 კინო დაწერილებით 10.35 ოსპ-სტუდია 11.20 პარიზი, პარიზი 11.50 კვირის სპორტი 12.35 ტელემაღაზია 13.00 მიმომხილველი 13.50 „კემბელების ოჯახი" 14.50 დოკუმენტური სერიალი „დიდი სამამულო" 16.00 კინოკომედია „ძაღლიშვილები" 17.40 ხარისხის ნიშანი 18.05 „გაბზარული გულების სკოლა" 19.30 კვირის კურსი 19.50 „კემბელების ოჯახი" 21.05 ტოკ-შოუ 22.15 კინოკომედია „მეკარე" 23.45 ბენი ჰილის შოუ 0.15 კვირის კატასტროფები.

ორშაბათს, 16 ივნისს, 12 საათზე, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინაში (თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ.№5) საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და სამაჩაბლოს სამკვიდრო საბჭო აწყობენ პრესკონფერენციას თემაზე:

**სიახლენი შიდა ქართლში**

მომხსენებლები: სამაჩაბლოს სამკვიდრო საბჭოს თავმჯდომარე: გელა გელაძე
სგრპ-ის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე: ნოდარ ნათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დააკავეს 106 ტონა ნავთობის დამტაცებლები

ქვემო ქართლის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სოფელ სართიჭალაში მცხოვრები გენო ჯამდიშვილი, მარტყოფელი ვაჟა კობლიაშვილი, ნორიოს მკვიდრი ჯემალ კვესიაშვილი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან იმაში, რომ მიხეილ მამადაშვილთან ერთად, 106 ტონა ნავთობი მოიპარეს სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე განლაგებული „სამგორი – გაჩიანის“ ნავთობსაქაჩი სადგურიდან. როგორც საქართველოს შსს პრეს-სამსახური იტყობინება, ნავთობის ნაწილი ამოღებულია. გამოძიება გრძელდება.

## ერთი დაიღუპა, ერთი დაიჭრა

ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთი მძიმედ დაიჭრა გუშინ, გვიან ღამით, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მომხდარი ინციდენტის დროს.

„მოამბე-ექს-პრესის“ კორესპონდენტს ოზურგეთის პოლიციიდან აცნობეს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია რამდენიმე ეჭვმიტანილი. მიმდინარეობს გამოძიება. (მექსპრესი)

## გურიაში პოლიცია ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა

მას შემდეგ, რაც გურიაში და კერძოდ ოზურგეთის რაიონში გართულდა კრიმინოგენური ვითარება, გურიის მხარის პოლიციის პირადი შემადგენლობა ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა. – განაცხადა გურიის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა მურმან ხომერიკმა. ამასთან მხარის ტერიტორიაზე მოქმედებს სადაზვერვო პატრული და პოლიციის ოპერატიული ჯგუფი. ხომერიკის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურიის მხარეს, დახმარების მიზნით, სტაციონარული და ხელის რაციები, ასევე 8 ტონა ბენზინის საწვავით მოამარაგა. სამინისტროს მიერ, ასევე, შერჩეულია ათამდე პოლიციელი, რომელიც ამ დღეებში გურიის მხარეში სამუშაოდ გაიგზავნება. (მექსპრესი)

# „გმირულად“ დაეცა ზუგდიდში...

მესამე გვერდიდან

ასე თუ ისე უზრუნველყოფილი ჰყავს, ეზოში ახალი მანქანაც უყენია. მოვა ვიღაცა და ერთ დღეში წაიღებს ყველაფერს, არა, ღმერთმა ნუ ქნას, რაღაც უნდა იღონოს. მანქანის გახსენებაზე თვალი იქითკენ გაექცა. სადაც ახალთახალი „გაზ-24“ ახლად გარეცხილი ბრწყინვალებით იქცევდა ყურადღებას. წაიყვანენ ის შობელძაღლებიო – გაიფიქრა და მრავალჯერ ტვინნაჭყლეტ საკითხს – რით გადაერჩინა თავი, მიუბრუნდა. მთელი დღეა ფიქრობს, რა ქნას, სად წაიყვანოს, სხვის სახლში გადამალვა გამორიცხულია, ვინ გარისკავს სხვისი მანქანისთვის საფრთხეში ჩაიგდოს თავი. საბურავები მოხსნას და გადამალოს, თვითონ იშოვიან სადმე და მაინც წაიყვანენ. კიდევ ის აზრი მოეწონა ყველაზე უფრო, ქალიშვილმა რომ ჩააწვეთა შუადღისას: ძრავი ამოვიღოთ და სადმე დაფნარში ჩავმარხოთო, იმათ კი ეტყვი: ხელოსანთან მაქვს წაღებული გასაკეთებლად, ხომ შიო. საათს დახედა და მიხვდა, სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა „დაუპატიჟებელი სტუმრების“ მობრძანებამდე. გამთენიისას შემოვლენო, ასე იყო ნათქვამი. ქალიშვილს დაუძახა და უთხრა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ქალიშვილს კმაყოფილება დაეტყო სახეზე, ხუმრობა ხომ არაა – მისი აზრი გამოადგათ ოჯახში ამ საბედისწერო წუთებში.

პირველი სრულდებოდა, მეზობლის ბიჭთან ერთად საქმეს რომ მორჩნენ. მანქანის ირგვლივ ყველაფერი მოალაგეს. ყოველგვარი კვალი, რომ ძრავი ახლახან ამოიღეს, საგულდაგულოდ მოსპეს. ოჯახის უფროსმა კიდევ ერთხელ გაანალიზა ოჯახის მზადყოფნა მოსალოდნელი განსაცდელისათვის, ჩათვალა, რომ მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. ოჯახის წევრებს დაწოლა და დაძინება უბრძანა, ხვალ ისედაც მძიმე დღე გელით და დაისვენეთო.

თვითონ გაუხდელად ჩაწვა, მის თვალებს რული არ მიეკარა, ფიქრებში იყო წასული: ძალიან ხომ არ ვამუქებთ მოსალოდნელს, ბოლოს და ბოლოს ვიღაც გადამთიელი ხომ არ მოდის, ჩვენი სისხლი და ჩვენი ხორცია. ახალგაზრდები იქნებიან უფრორე, ჩემი ჭაღარის შემხედვარე უხეშობას როგორ იკადრებენ, პატარ-პატარა რაღაცეები გააყოლონ ხელს, ღმერთმა შეარგოთ! ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაადგეს საშველი ქალაქს, ეს ვითომდა „კანონიერი ხელისუფლების“ მომხრეთა თარეშიც ხომ აუტანელია, რას დაამგვანეს ქალაქი. სანამდე უნდა იყოს თბილისში სხვა და ზუგდიდში სხვა ხელისუფლება. თბილისში ვერ ჩასულა კაცი, ისეთი რაღაცეები ხდება გზებზე.

ამ ფიქრებში იყო, როცა სადღაც საშინელი სროლა ატყდა, ხმა ჯერ შორიდან მოისმოდა, მაგრამ აშკარა იყო. მისი ინტენსივობა იზრდებოდა და სულ უფრო ახლოვდებოდა. სწრაფად წამოდგა, ფანჯარასთან მიირბინა და ჭიშკარს გახედა. ჯერ არავინ ჩანდა ოჯახის წევრებს შესძახა, ჩაიცვით და ყველანი ერთად მისაღებ ოთახში იყავითო. თვითონ გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ სროლა უკვე ძალიან ახლოს, მეზობლის ეზოსთან ისმოდა და თავი შეიკავა. ისევ ფანჯარასთან მივიდა, ორმა მანქანამ პირდაპირ მის ჭიშკართან დაამუხრუჭა. გადმოვიდნენ შეიარაღებული ახალგაზრდები და ჰაერში სროლით მასპინძელს გარეთ უხმობდნენ. მიხვდა, რომ განსაცდელის დრო დამდგარა. კარი გამოაღო და – ეხლავე ბიჭებო, მოვდივარო – გასძახა. ჭიშკართან მისულს უხეშად შეუბღვირა ვიღაც ახალგაზრდამ: ჩქარა გააღე ჭიშკარი, თორემ კონდახით გაგიტეხავ თავს, შე ბებერო ძაღლოო. – რისთვის კადრულობ შვილო ამასო, ხომ ხედავ წინააღმდეგობას არავინ გიწევსო – შეეპასუხა და მიხვდა – ტკბილსიტყვაობას მათთან აზრი არა აქვს.

ეზოში 5-6 ახალგაზრდა შემოვიდა, ავტომატის ლულის კვრით წინ გაიგდეს ოჯახის უფროსი და საკუთარ სახლში შეძღოლა უბრძანეს. ბიჭებო, რაც მოგეწონოთ, ყველაფერი წაიღეთ, ალალი იყოს თქვენთვის, ოღონდ არავის ხელი არ ახლოთო – მუდარის კილოთი მიმართა მომხედურებს და ოჯახის წევრებს სრული დანებებისაკენ მოუწოდა.

ძნელი გადმოსაცემია, რაც იმ საბედისწერო ღამეს იმ ოჯახში დატრიალდა: გადააბრუნეს ყველაფერი, ეძებეს ყველგან, სადაც კი ძებნა შეიძლებოდა, იკადრეს ყველაფერი – უკადრისიც და საკადრებელიც, შეურაცხყოფა მიაყენეს ყველას – უფროსსაც და უმცროსსაც, ქალსაც და კაცსაც. თითქოს ყველაფერი ბოლოსკენ მიდიოდა, ოჯახი ამ სავალალო წუთების სანუკვარ დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ... მანამდე მომხდურებმა ავტომანქანა ნახეს და პატრონს პასპორტი და გასაღები მოსთხოვეს. ძრავი არა აქვსო, უთხრა და წინასწარ მოფიქრებული მიზეზიც მიაყოლა ოჯახის უფროსმა. შენი დედა სპეციალურად გექნება გადამალულიო, ეძებეს, კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებიათ, სახლს გარშემო უარეს, მაგრამ ვერ იპოვეს. გვერდით ეზოში ვიღაცას ასეთივე მანქანა უყენიაო, საბურავები არა აქვს – წამოიძახა ერთმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ და აქ დაიწყო უმთავრესი უბედურება. საბურავები ხომ აგერ გვაქვსო – თქვა ერთ-ერთმა, ვისაც ყველაფერზე ეტყობოდა, უფროსი იყო იმათში. ხელი წამოავლო ოჯახის უფროსს, ასაკში შესულ, გულით ავადმყოფ კაცს და მანქანასთან მიათრია. შენი ხელით მოხსენი, მეზობლის ეზოში მიიტანე და შენივე ხელით იმის მანქანას დაუყენე, თორემ სულს გაგაფრთხობინებო.

წინააღმდეგობას ახალი შეურაცხყოფა მოყვა, გაჯიუტებას – თავში კონდახის ჩარტყმა, ყოველივე ამას ქალების წივილ – კივილი და ხვეწნა-მუდარა ახლდა თან. საბოლოოდ არაფერმა გასჭრა და ოჯახის პატრონმა საკუთარი ოჯახის წევრების გადარჩენის იმედით დახსნა საკუთარ მანქანას საბურავები და მეზობლის ეზოში გადატანას შეუდგა. მესამე საბურავი საკუთარ ჭიშკართან თითქმის მიტანილი ჰქონდა, გაფითრებული, გატანჯული სახით წელში მოხრილი ოჯახის პატრონი შეირხა, საბურავი ხელიდან გაუვარდა, ვაიმე მიშველეთო! – დაიძახა და უსულოდ ჩაიკეცა ამის შემხედვარე მეუღლე და ქალიშვილი, შვილიშვილები საზარელი კივილით მივარდნენ ოჯახის მარჩენალს, მაგრამ გვიან იყო. ისეთი საშინელი კივილი იყო, მეზობლის ქალებმა იწყეს გამოსვლა; თითო-ოროლას სხვებიც მიემატნენ, მალე კაცებიც გამოჩნდნენ. მომხდურებმა საშიშროება იყნოსეს და სასწრაფოდ ჩაჯდნენ მანქანებში, ერთი მანქანა ადგილს მოსწყდა და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა მეორე მანქანას ხალხმა ალყა შემოარტყა, მძღოლი მანქანიდან გადაათრიეს. მასში კიდევ ერთი ახალგაზრდა იჯდა. წონასწორობიდან გამოსულ ხალხს ვერაფერი შეაკავებდა, მათ ფეხქვეშ ამოიდეს ორივე და გამუდმებით ცემა დაუწყეს, მანამდე ურტყეს, სანამ ვიღაცამ არ დაიძახა: მგონი მოკვდა ეგ შობელძაღლი და გეყოფათო.

ამ ორიდან ერთი იქვე, ერთ-ერთ ოჯახში შეიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. მეორე კი ადგილზე გარდაცვლილიყო.

* * *

„გმირულად დაეცა 1993 წლის 4 ნოემბერს ზუგდიდში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში“ ერთხელ კიდევ ჩავიკითხე გულმკვდარი დედის მოთქმა საკუთარ შვილზე;

არადა, ბედის ირონია რომ არა, ჩვენი გაუკუღმართებული ცხოვრება რომ არა, ხომ შეიძლებოდა ის ახალგაზრდაც მართლაც საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულიყო, მაგრამ არამც და არამც ზუგდიდში

**მ. ღვინიაშვილი**



# კაიფვორდი



**ნინა ნომრის პასუხები**

ჰორიზონტალურად: 5. სედანი; 7. ელეგია; 8. რექტორი; 9. ისიდა; 10. მარკა; 11. ოსირისი; 12. ნემსი; 15. კენია; 17. პრიმა; 19. ტრიუმი; 20. ეროზია; 21. იარდი; 23. ეგერი; 25. ადიტი; 27. მალარია; 29. რამპა; 30. ტანგო; 31. რელიეფი; 32. კლიფსი; 33. კლუმბი.

ვერტიკალურად: 1. მერიმე; 2. გირაო; 3. სეიმი; 4. სირაჯი; 6. სტარტი; 13. მაკრამე; 14. იაგუარი; 15. კოროზია; 16. ნაცისტი; 17. პაიკი; 18. პრესი; 22. რეალია; 24. გორილა; 26. ტრომბი; 27. მარია; 28. ატიკი.

მწოლიარედ: 4. „ბადრის ჯანზე“ მომყვანი ბოსტნეული; 8. „ონში“ გამოყვანილი პატარა ცხენის ჯიში; 10. „ორგული“ თევზი; 11. კაცი, რომელიც თეთრს შავად მოგაჩვენებს და შავს თეთრად; 12. „პლანით“ მოკაიფე თვითმფრინავი; 14. განთიადი „ონში“; 15. ფირნიშის ტყუპისცალი; 17. „კიოს“ საყვარელი „ტოკდარტყმული“ ქალაქი; 18. უჯიგრო მექრთამე, რწყილს თავგზა რომ აუბნია; 19. ხშირად მეზობლების ჩხუბის მიზეზი; 20. ცხიმი, რომელიც ქონი გონიათ; 22. ვაზისთვის მადლია, კაცისთვის მარცხია; 24. მოსაჩანთი სახის ნაწილი; 26. მამა, რომელმაც პირველმა შესწირა შვილის მაგიერ ბატკანი; 28. სამოთხის ქალი (რუს.კავშ.); 30. ჯადოსნური ლამპარის პატრონი; 33. „რულმოკიდებული“ ზონზროხა კაცი; 34. „იზაურას“ თუ ვაშას და ტაშფანდურას მოვაშორებთ“, სხვა ქალი დადგება; 35. „გალის“ წრის შემოსახაზი; 36. ერთაოზის პოტენციური სასიმამრო (კინ.ფილ).

მდგომიარედ: 1. „ო რეროს“ სიმღერით ხართან მებრძოლი; 2. „იასა და ნიას პონების“ სალაღობო ქვეყანა; 3. „ადას და ილიას“ ბერძნული პოემა; 5. დონ კიხოტის ტურფა; 6. ოქროს საწმისის ქუდი; 7. „ნანისა და ანიკოს“ მოსაფერებელი დაიკო; 8. ვირს რომ ცხვირში ჩრიდნენ; 9. „ახტა, დახტა და აფრიანად ზღვაში ჩახტა; 13. „დონზე მგალობელი ფრინველი; 16. ხის ბიჭუნა; 17. „ნარზანის“ მოყვარული ჯუნგლებში ბოდიალა; 18. ჩიტისა და თაგვის „მურიანი“ ჰიბრიდი; 21. პრიზი, რომლის „კარი“ მუდამ ღიაა არტისტებისა და კინოჩნიკებისათვის; 23. ლაფში ამოსვრილი ნადავლი; 25. დოყლაპია; 27. „ლიზის და ალის“ საამშენებლო მასალა; 29. მწყემსის საყველპურო ჩანთა; 31. მუდამ ბუნებრივად შეღებილი ქალი; 32. უბედური, რომლისთვისაც ღმერთს ენა დაუბია.

ნუნუ ლოლაშვილი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444